

140  
1981

# ՅՈՒՆԵԱՀԱՆ

6  
1981





# ՀԵՂՈՅՆ ԵՎ ԱՇԽԱՏՈՒՅԹԻ ՀԱՅԱՍՏԱՆԻ




ව්‍යුත්පන  
විභාගයේම  
**60** උග්‍රවලාසි



ଶୁଣିବାକାରୀ ହେଉଥିଲା ଏବଂ ମନେତରାଙ୍କାରୀ, ମୋହନୀଯିବା  
ପ୍ରେସ୍-ସ୍ଟାଫ୍‌ରେଙ୍ଗରୀଙ୍କାରୀ, ପ୍ରମଳେଖାକାରୀ ତାଙ୍କାକୁ  
ଧରି...

6 ՈՅԵՐԸ 1981



# გამოძახილი

ჯანი გოგევილი

შხატერი  
ზაურ დეისაძე

მოთხოვა

იმ კვირა დღეს ბიჭებს ზედიზედ მოგვეცარა სელი. ჯერ იყო და დარაჯმა სკოლის ეზოს, სადაც ფეხბურთის თამაშს ვაპირებდით, ახლოს არ გაგვაკარა, ფანჯრებს ჩამტკრევთო. ის იყო წისქვილის სათავეში ჩავცივდით, რომ მეწისქვილე გამოგვენთო, რას გვერჩოდა, ვერ გავიგეთ. ძერე „დიდ ახტე“ სათევზაოდ წასვლა გადავწყვიტეთ, მაგრამ. ჩაის პლანტაციისკენ მიმავალ ავტომანქანას ვერ მივუსწარით. ბოლოს ბიჭები აქეთიქით მიმოიფანტნენ და, როგორც ყოველთვის, მე და მამია შევრჩით ერთმანეთს.

— რა უნდა ქნას ახლა ცოცხალმა კაცმა?! — ცხოვრებაში ნაწევალები კაცივით იკითხა მამიამ.

— რა უნდა ქნას და... ვინმეს ცხენი რომ სადმე მივჩინოთ... — ორლობიდან გასულმა ახალთახალ ველოსიპედზე მჯდომ ვიღაც გაწრიბულ ბიჭს მოვერი თვალი. ჩვენებური არ ჩანდა. ბიჭმა ჩვენს წინ დაამუხრუჭა ველოსიპედი.

— გამარჯობა შენი! — შეაგება მამიამ. — ვისია ეგ ველოსიპედი?

— ვისი უნდა იყოს?! — ბიჭმა მუხრუჭს ფეხი აუშვე. — შემსვი ზედ! — ალალად სთხოვა მამიამ.

— მეჩქარება! — ბიჭმა საჭე შეათამაშა, უნაგირიდან წამოიწია და ველოსიპედი უცებ მოსწყვიტა ადგილს.

გაოცებულები მივაჩერდით.

— ვინ თხერია მარც, ვინ მისცა ეს ცინცხალი ველოსიპედი?!?

— დაბადების დღეზე აჩუქებდა მამამისი. ისე, შენი დაბადების დღე თუ ახსოვს ვინმეს? — ვიყითხე.

— მაგის კაცობა რა ვთქვი, წესიერად არც კი დაგველაპარაკა.

— ასეა, სამათხოვროდ არ უნდა გქონდეს ეჭვაჭურული კუთარი უნდა გყავდეს!

— კოლმეურნეობაში რომ გვემუშავა? — ისე ჩილა-პარაკა, ველოსიპედისთვის თვალი არ მოუშორებია. — გამომუშავებულ შრომადლებზე აღებული ფულით...

გამეცინა, მაგრამ მამიას რომ შევხედე, მივხვდი — გადაწყვეტილება უკვე მიღებული ჰქონდა.

— რა გაცინებს! დღესვე მოველაპარაკები თავმჯდომარება; ათი დღის შემდეგ არღალებებიც დაგვეწყება და... — მამიამ, ჩვეულებრივ, ახლაც უცებ დასახა სამოქმედო გეგმა.

ბედად, თავმჯდომარე ჩაის მიმღებ პუნქტთან დაგვხვდა. პუნქტის გამგეს რალაცის უკვიროდა და ცხენზე შესაჭრომად ემზადებოდა.

მაღალი კაცი ერქმდა, შავგვრემან სახეზე მარჯვენა თვალის ქვემოთ ხაჭრილობევი აჩნდა. ავტომანქანაში იშვიათად ჯდებოდა, ცხენზე ამხედრებულს უყვარდა მინდვრების შემოვლა. ამიტომაც ბიჭებს განსაკუთრებული, სიყვარულანარევი რიცი გვქონდა მისი. მე აღმართ ვერც გავხედავდი მივსულიყავი და ჩვენი სურვილი გამემჩილა, მაგრამ სახეგარუჯული, თმახუჭუჭა მამია მსახიობობაზე იცნებობდა და „წარატისტების“ წყალობით ყველასთან შეთამამებული იყო.

— გამარჯობა თქვენი! — შესახა ხმადაბოხებით.

— გაგიმარჯოს! — გაღმოხედა თავმჯდომარებ.

— საქმე გვქონდა, — გაოცება არ დააცალა მამიამ.

— გისმენთ, ბატონი! — ახლა მე შემათვალიერა სოფლის თავკაცა.

— ბიჭებისაგან ბრიგადის შექმნას ვაპირებ, კოლმეურნეობაში მუშაობა გვინდა, შრომადლებზე აღებული ფულით ველოსიპედს ვიყიდით.

— მაგას ას სჯობს, — ჩემდა გასაოცრად თავმჯდომარება არაფერი გაპევირვებია, — ვის მიგამაგროთ?

— ვარლამ ბაბუა! — წამომცდა უნებურად.

— ერთიობი და პატიოსანი, მიღით და მოელაპარაკეთ. ვნახოთ, რა ვაუკაცები ხართ, ოლონდ, იცოდეთ, საქმე რომ ჩამიგდოთ, პასუხისმგებაში მიგცემთ! — ისე გაგვაზრუთხილა, თითქოს თანატოლებთან ჰქონდა საქმე, და ცხენს სადავე მიუშვა.

ფრთხებშესხულებმა იმ საღამოსვე ჩამოვუარეთ ბიჭებს. ყველა ერთხმად მიიღო ჩვენი წინადადება.

ვარლამ ბაბუაც შინ დაგვცედა, მეგობრულად ჩამოვართვა ხელი ყველას და შეგვაპატიუა.

ტანახოვანს, ფართო სახეზე მრისხანებაშეზავებული გულმოწყალება ჰქონდა აღმცენდილი. ცნობილი იყო შესრულებული გამარჯობით, სამართლიანობით და მასვილგონიერებით. „ბიჭების ლაპარგვამ გაანხევრა კაცი“, — ხშირად გამეგონა მამაჩემისაგან. პატიოსანის ბევრჯერ მიფიქრია, ამირან და ბადრი ბიძიები რომ ცოცხლები იყვნენ, რამხელა იქნებოდა „მთელი“ ვარლამიმეტქი.

ერთხელ შემთხვევით დავემზავრე და გულღია საუბარი გამიბა სწავლაზე, საერთოდ კაცისთვის განათლების სიკეთეზე. გავთამამდი, თავის გამოჩენის წადილი გამიძლიერდა და, რაც კი წაკითხული ან გაგონილ შემნახველი ერთიანი და ერთობენ გადმოვულავე გულმოღვინები შემნებელს.

— ბაბუა, შენ ნაკითხა ეაცი ყოფილხარ, უკიალ! ნასწავლი კაცის ფასი არაფერია ამ ქვეყანაზე, — თვალებით მომალერსა. — ბავშვობისას მეც ძან ვიბრძოდი სწავლისათვის, მაგრამ სად იყო ან დრო, ან შეძლება. ახლა ვინაზღაურებ დააკარგულს.

იმ დღიდან შემიყვარდა ვარლამ ბაბუა. აქამდე მასავით მხცოვან და პატიოსაცემ აღამიანს ისე მეგობრულად და ისე თანატოლებით ჯერ არ ესაუბრა ჩემთან. მქონდა,



არ მქონდა დრო, მასთან გავრჩოდი. თუ მუშაობდა, შეჩერდებოდა, თუ იჯდა — ადგებოდა, რაღაცით უცილებლად მაგრძნებინებდა, ჩემი მისვლა რომ ესიამოვნა. თანდათანობით ჩემს თავს უფრო დიდ მოთხოვნებს კუჟენებდი. თავგამოდებით ვკითხულობდი. ვარლამ ბაბუა „ნაკით კაცა“ მთვლიდა და ამ სახელს შენარჩუნებისათვის მევე უნდა მეზრუნა.

— თუ არ მასხრობთ, ყოჩაღ თქვენ! — შეგვაქო გახარებულმა, როცა ერთხმად დალაპარაკებული მამია და მე. როგორც იქნა, დავწყნარდით, თან დაევირებით შეგათვალიერა. — აბა, თქვენით გინდათ ირჩინოთ თავი? ყოჩაღ! სხვის მომადლებულ ლუქმას. მოპარულის არ იყოს. გემო არა აქვა. რომ არ შემარტებენთ, ეჭვი არ მეპარება... ოლონდ რგოლის ხელმძღვანელი აირჩიეთ, ხომ იცით, ყველაფერი წესის მიხედვით უნდა იყოს. რამე რომ მოხდეს, პირველად თქვენს თავეკაცს მოვთხოვ პასუხს.

— მამია იქნება! — წამოვიძიახ მე. დანარჩენებიც დამეთანხმენ.

მამიასაც თავპატიურ არ გაუდვია, მიიღო კი არა, დაიშვენა ეიდეც ახალი „თანამდებობა“.

— რა უნდა ვაკეთო? — საქმიანი კაცის კილოთი პეითხა ვარლამ ბაბუა და ისე შემოგვხედა. თითქოს მთელი დივიზია ედგა უკან.

— ბიჭის, ხედავ შენ, რავა სამხედრო პირვით მელაპარება?! — გაეცინა. მოხუცს და თბილად უთხრა: — მზად როცა იქნებით. გამაფრთხილე და მაშინ მოვილაპარაკოთ.

— კარგი აბა, მერე მოვალო, — დინჯად უთხრა მამია და დავემშვიდობეთ.

„კოლმეურნეობაში მუშაობის დაწყების პირველ დღეს დილაუთენია გამეღვიძა.“

უხმაუროდ ავდეჭი. სწრაფად ჩავიცვი და ფეხარეფით გვედი სიხლიდან. მერე ნალის ქვეშ წინადღით მომზადებული თოხი ავიღე, მხარზე გავიდე და სირბილით გავემურე გზისაკენ.

წუხელის ჩევნი გადაწყვეტილება მშობლებს რომ გავუმნილე, დედაქემმ დაყვავებით მითხრა:

— შეილო, ხომ ხედავ, რა დღეში ვარ, უკვე ვეღარ ავუდივარ ოჯახის საქმეს. ამ არღადეგებზე სახლში წამიკრი ხელი, ყველაფერს ის აჯობებს. სხვებივით მინდონამინდონ სირბილი არ გარგია შენ.

მამაქემს არაფერი უთქამის. რადიომიმღებს უკირკიტებდა და ჩემსკენ არც კი მოუხედავს, ეტყობოდა, ჩევნი გაბეჭითება მაინცადამაინც არ სხეროდა.

ამიტომაც იყო, იმ დილით ისე მალულად რომ გავედი სახლიდან.

საქმედლოსთან, საღაც ერთმანეთს უნდა შეეცვედროდით, არავინ დამხედრია. იქვე ლოდზე ჩამოვჩეკი, თოხი გვერდით დავიდე და ავლილინდი.

მოულოდნელად გზატეცილიდან ხმაური მომესმა. წამოვდეჭი. ქალები ძროხებს მიერეკებოდნენ.

„დამიწყებენ ახლა, სად მიხვალ ამ ალიონზე, ბიჭო, რა ლროს შენი მუშაობააო,“ — გავიფიქრე, თოხი ავიღე და სამჭედლოს მოვეფარე, სანამ არ ჩაიარეს.

ამ დროს მამიაც გამოჩნდა ორლობილან, თოხი იღლიაში ჭონივით ამოედო.

— სახლში რა გითხრეს? — ვკითხე, როცა მომიახლოვდა.

— მუშაობას ვიწყებ-მეთქი. რომ ვთქვი, არავინ არ დამიჯერა.

— მალე დაგვიჯერებენ... — დაქადნების კილოთი

ვთქვი მე და მამიას მხარზე გადაეწყებული ტყავის ჩანთა შევათვალიერე. უმალ გამახსენდა, რომ საჭმლები მოლება დამავიწყდა.

— აუც! — დანანებით შევძახე და ხელი შუბლში შემოვირტყო.

ნუ გეშინია, ორივეს გვეყოფა, — მიმიხვდა მამია, — დღეს ჩემი, ხვალ შენი. — მერე გზისკენ გაიხედა და ხალისანად შესახა: — აგრ ტყავებიც! ნახე, საჭმელი ცალ-ცალკე მოაქვთ. უკ, რა ხალხია. წამოლებაზე აჩხუბებდნენ.

თედო და აჩიკო მედიდურად მოაბიჯებდნენ. მხარზე გადებული თოხების ტარებზე ბადურები ჩამოეეიდათ, ბადურებში ქალალში განვეული სანვაგვ ჩატყოთ.

თედოს და აჩიკოს სხვა ბიჭებიც მოჰყვნენ და მალე ათვენი ორლობებში მივაბიჯებდით.

ვარლამ ბაბუა თავისი ეზოს წინ შეგვხვდა.

— მართალი გითხრათ, არ მეგონა, ადგომას თუ დამსწრებდით. აბა, წავიდეთ! — გვითხრა და წინ გაგვიძლვა. ამომავალი მზის სხივები აღმოსავლეთს ოქროსფრად ეღვრებოდა. ჩიტუნები გატაცებით უგალობდნენ დღის დამვიდრებას. საღლაც მამალი ყიდვა თავგამოდებით. საღლაც ნახის დაცილებული ძროხა ბლაოდა.

— ერთაშად ნუ მიწყდებით საქმეს, ბაბუა, ცოტა გაავეთეთ: ოღონდ ეარვად, — ვენახის თოხნის დაწყებისთვის დაგვარიგა ვარლამ ბაბუამ, მაგრამ ჩევნ ისე დავაცხრით სამუშაოს. თითქოს დღეში თითო ჰექტრის გათოხნა ჩვეულებად გვქონდა.

— აღარ დაგიტოვებენ სამუშაოს, ვარლამ ბატონო!

— ველოსიპედის კი არა, მანქანის საყიდელ ფულს მოაგროვებენ!

— მალე შეიძლება ჩვენი ადგილიც არ დატოვონ კოლექტივში. — ეხუმრებოდნენ ბრიგადის წევრები ვარლამ ბაბუას.

— ნელა, შეილებო, ნელა. თოხის ტარი შეპარვით უნდა შეაჩვითო ხელებს, — გვარიგებდა ვარლამ ბაბუა. — ნელა, თორებ ერთაშად დაიღლებით.

— რა დაგვლლას... — ვიქაჩებოდით ჩვენ და კიდევ უფრო სწრაფად ვიქენებდით თოხებს.

დალლამ მალე იჩინა თავი. ჭერ, ჩ-ც შეგვეძლო. ჩალა ვწევდით თოხებს და თავდაუზოგავად ვურტყამდით გამომშრალ მიწას. მერე ამის თავი აღარ გვქონდა და მოუკრელ სარეველაზე მიწის მიყრაც კი ვიკადრეთ.

ვარლამ ბ-ბუამ დროზე აგვიღო ალო.

— აბა, ვაუკაცებო. შევისვენოთ! — თქვა მან. — ძალას მოზოგვა უნდა.

— არა, — თავი გამოიღო ვილაცამ, — ჭერ არ დავლილვართ.

ერთმანეთის გიბრით სხვებიც გაჭირვებით ვიქევდით თოხებს.

— თქვენი არ ვიცი და. მე კი დავიღალე, — ჩაილაპარავა ვარლამ ბაბუამ და პირველმა მიანება მუშაობას თავი.

უმალ მივბაძეთ. ნამუსი მოვგხადა და გახარებული ვიყვით.

მერე და მერე უფროსი მეგობრის მიერ შემოლებულმა ათწუთანმა შესვენებებმა ძალიან გვიშველა, მაგრამ საღამი ხან მანც ძლიერ მივისულ გამიჩნდა. მე ხელისგულუბზე ბუშტუკები გამიჩნდა. ვეღარ მოვითმინებ, ეკლის წვერით სითხე გადმოვადინე და ახლა საშინალად მევბოდა ხელები.

— ყოჩაღ. ბიჭებო, დღეს მაგრად იმუშავეთ! — გვაქებდა ვარლამ ბაბუა გამომშვილობებისას კი ვერჩი. იქნება ჭობდეს, ხვალ დაისვენოთო...

— აჲ, არა, ასე თუ ვაცლინეთ დლეები, რა გამოვა. — ისე შეაწყვეტინა მამიამ, თითქოს შეურაცხყოფა მიაყენეს.

როლის ხელმძღვანელის ვაჲკაცურმა შემართებამ ჩენც გაგვამნევა და უოველვარ შეღვათზე უარი განვაცხადეთ.

დილით, როცა გავიღვიძე, მეგონა, საწოლზე ნაწილ ნაწილ ვიყავი დაწყობილი. მთელ სხეულში მტებდა. წამოსივებული ხელისგულები მიხურდა.

გაჭირვებით წამოვდექი. ვარლამ ბაბუასი მესილცხვებოდა, თორებ ერთხანს კიდევ ვიძინებდლ.

— როგორა ხარ, ვაჲკაცო? — ლიმილით მკითხა ოთახში შემოსულმა მამახემა. — ხომ მოიხე გული?

— ჯერ არა, — მშეგიდად შევეპასუხე და რაც შემეტლო მარჯვედ ავმოძრავდო.

— ბიჭის, შენ აღარ ხუმრობ! — მხარზე ხელი დამრმამამა. — კარგი, კარგი, თამარ, აცალე კაცს, გამოსკადოს თავი.

— აცალე, ბატონი! გახდება ავად და მერე ჩენ მოვიწყობს გამოცდას! — გამოეპასუხა დედა.

— ნუ გეშინია, — თვალი ჩამიქრა მამამ. — ვარლამ დაუკერე და არ წააგებ.

საყვედლურების მოსმენას სახლიდან უსაუზმოდ გასვლა მერჩინა. მაგრამ დედამ თავად მიმიყვანა გაწყობალ სუფრასთან. ისე თბილად მექცეოდა, როგორც სამუშაოდან მობრუნებულ, დაღლილ მამახემს, მივხვდი, მამა ჰქონდა რალაც ნათქვამი. აბ. წინა დღეს, ჩემი გადაუკლეფილი ხელისგულები რომ დაინახა, ისეთი ამბავი ატენა, გეგონებოდათ, ორივე ხელი წაგლეჭილი მქონდა.

— ჭავიანად იყავი, — მითხრა გამომშვიდობებისას. — ხელები არომ შეგეხვია, კი აჯობებდა.

— სულ არ მტკივა, — ვუთხარი მე და მკერრცხლად ჩავირბინე აივნის კიბე.

გზატკეცილზე მამია დაბარებულივით დამხვდა.

— ხომ ხარ მაგრად! — ვითომდა გულის გასამაგრებლად შემომაგება.

— აღარა ვარ კაცი, — გამოვტყდი. — აღარ ღირს უკან დახევა, თორებ...

— ხომ არ გაგიუდი, პანიკის დაწყებას აპირებ თუ?! — ნამდვილი კომისარივით შეჰქარა წარბები მამიამ. უცემორლობიდან გამოსული თედო დაინახა და გასძახა: — აჩიქ სადაა?!

თედომ ხელი ჩაიქნია.

— არ წამოვიდა, არც თქვენი ველოსიპედი მინდა და არც გოროხხე თოხის ბრახუნიო. — გვითხრა სახემოლოუბლულმა, როცა მოგვიახლოვდა.

— არ მინდაო?! — თვალები დაქახა მამიამ.

— არაო, ვერ წამოვაგდე ლოგინიდან... — თედო, ეტყობოდა, თვალისებურად განიცდიდა ძმის „ლალატს“. თვალს გვარიდებდა.

— არ უნდა და ნუ უნდა, ერთი გაბედოს და მერე ველოსიპედზე დაჭდომა გვთხოვოს! — გაბრაზდა მამია.

— ჰო! ერთი გვთხოვოს! — დავიქანენ მეც.

— თქვენი ლაპარაკი რად მინდა, მე თვითონ არ გავა-კარებ სიახლოვეს, — უხალისოდ ჩაილაპარაკი თედომ.

— ვარლამ ბაბუას ვუთხრათ, ავად გახდა-თქო, — და-ფიქრებით თქვა მამიამ. — ნურც ბიჭებს ეტყვით, გული აუკრუვდებათ, პანიკა არ ატყდეს, იცოდეთ!

იმ დღეს ვარლამ ბაბუამ ერთი პატარა ნაკვეთი შევირჩია.

— ამის მეტი გასათოხნი დღეს აღარ მოგიწევთ, ბიჭებო, და ნუ გეწყვინებათ, — მოგვიბოდიშა. ... ის მხარე მეორე ბრიგადას დაუთხო თავმჯდომარებ და არ ღირს



სალაპარაკოდ. თქვენ არ შეგეშინდეთ, სამაგეროდ ჟერი აინაზღაურებთ.

თოხნა არცთუ ისე გაგვიძნელდა, რადგან თავიდანვე ვგრძნობდით, შესასრულებელ სამუშაოს აღვილად დავ-ძლევდით.

მართალია, ხელისგულები მტკიოდა. მაგრამ მერე და მერე იმ ტერვილსაც შევეჩვირ. სამიოდე საათის შემდეგ ერთი ბიჭებთან ერთად ვალმოხდილი კაცივით არხენად მივაბიჯებდი შინისაკენ.

ვარლამ ბაბუა ბრიგადის წევრებთან ერთად ვენახშდარჩა.

— იურდეთ, ხვალ არ დაიგვიანოთ! — გააფრთხილ: მამიამ ბიჭები, როცა გზატკეცილზე გავედით. მერე მე და თედო გვერდით გაგიყვანა და საიდუმლოდ გვითხრა: — აჩიქოსთან მოლაპარაკებაა საჭირო, არ მინდა, ბოლოს ინანოს.

— საბანაოდ იქნება, — თქვა თედომ.

აჩიქო მართლაც საბანაოდ ბრძანდებოდა. საცალფეხო ხილზე გასვლისას შორიდანვე მოვეარი თვალი ბიჭებუჭების მიერ დაგუბებული ლელის პირას გაშოტილ. გარშემო შვიდი-რვა წლის ბიჭები ეხვია.

— აჩიქ! მოლი აქ! — როყიოდ დაუძახა ძმას თედომ. აჩიქო უხალისოდ წამოდგა და ჩვენსენ გამოემართა.

— სამუშაოდ რატომ არ გამოდი? — მეცარად ჰეიოს ჩენი რეოლის ხელმძღვანელმა.

— არ შემეძლო. — იგდებულად მიუგო აჩიქომ.

— ბანაობა ხომ შესექლი. — ვუთხარი მე და არტომ-ლაც შევეცადე მამიასაკი მკაცრი გამომეტყველება მი-მელო.



— ასე დამიჯდა გუნებაში, — გაშომწვევად მომახალა,  
— არ მინდოდა ეგ თოხის ბრაზნი და ძალა? მე თუ  
გავთავდი, ველოსიპედი რა ჭირად მინდა. წელიწადში რა-  
ღაც ორი თვე გვაქვს დასვენება და...

— მაინცდამაინც შენ ჩატე უნდა გამოწყდე ბიჭებში! —  
ერთბაშად აენთო თედო.

— მუშაობამ ვირი მოკლაო, — მუცელი მოიფხანა  
აჩიკომ და გვერდზე გაიხედა.

— ძმა არ იყო ჩემი, კი ვიცი, რასაც ვიზამდი!.. —  
დანახებით ჩაილაპარაკა თედომ.

— ნელი იყავი, თორემ... — შეუბლვირა ტყუპისცალმა.

— თფუ. შენს კაცობას! — შესახა თედომ, უცრად  
გავარდა წინ და მკერდზე ხელი ჰკრა.

აჩიკომ წაიბორბიკა.

— დამარტყო, არა? დამარტყო, ხომ?.. — ჩამარტყლა  
ნირწამხდარმა. ეტყობოდა, გვარიანად იყო დაბნეული და  
ვერ გადაწყვიტა, როგორ მოქცეულიყო.

— წამო, წამო, ენახოთ, სანამდე გაძლებს უქმოდ და  
უამხანაგოდ, — ხელი მოხვია მამიამ თედოს და სამივე  
გზა განვგრძეთ.

მეორე დღეს, დილით, ყანისაუნ რომ მივიჩაროდა,  
ორლობის თავთან ტყუპ ძმებს გადავეყარა, წინ თოხები  
დაებიჯგებინათ.

— გამარჯობა! — ვუთხარი თედოს და ალმაცერად  
გავხედე აჩიკოს.

— არ მინდა, მართლა იფიქრონ ბიჭებმა ჩემზე, შე-  
შინდა, — ისე მითხრა იმან, თითქოს სალამზე პასუხი  
გამა.

მივხვდი, თედოს ვერ მოეთმინა და სახლშიც გვიჩვენდი  
რძო ძმის მორალური „დამუშავება“.

აჩიკომ ორიოდე წუთის შემდეგ შემოერთებულ რგო-  
ლის ხელმძღვანელსაც ზუსტად ამგარი ახსნა-განმარტე-  
ბა შეაგება.

— რაც იყო, იყო, მაგ ამბავი ჩეენ ოთხში მოკვდეს,  
ოლონდ მომავალში, იცოდე... — თვალებით დაემუქრა  
მამია.

— არ უნდა ამას ლაპარაკი, — ძმის მაგივრად შეეპა-  
სუხა თედო და ამაყად შეხედა.

— ჰო, არ უნდა... — დაუმოწმა აჩიკომ და მხარზე გა-  
დებული თოხი შეისწორა.

ეს იყო და ეს. მას შემდეგ არავის უცდია „დეზერტი-  
რობა“. მერე და მერე თანდათანობით შევეჩვეთ თოხსა  
და ბარს. თითქოს ძვლებიც გავიმსხვილდა, მაჭაც გაგ-  
ვიდიდდა, ხელისულებზე კანი გაგვიუხეშდა, რაც გვი-  
ამოვნებდა კიდეც. ვარლამ ბაბუა ენერგიას გვიზოგავდა,  
თამაშ-თამაშით გვაეთებინებდა საქმეს.

ამასობაში არდადეგებიც მიიწურა.

**ბოლო გავეთილის გამოსკლის მაუწყებელი ზარი სა-  
ცაა უნდა დარეკილიყო, მაგრამ შოთა მასწავლებელი არ  
ჩეარობდა, დაფაზე გულმოღვინედ გამოყავდა ქართული  
ასოები.**

— აბა, გოგუაძე, წაიყითხე! — უთხრა მოულოდნელად  
შემობრუნებულმა უკანა მერხისიკნ გადახრილ მამიას,  
რომელიც ნანას არაცას ეჩურჩულებოდა.

მამია სწრაფად მოტრიალდა, წამოდგა და მე გადმომ-  
ხედა. ალბათ მხოლოდ თავის გვარს მოჰკრა ყური, და არ  
იცოდა, რას თხოვდნენ.

— წაიყითხე, — ვუჩურჩულე მე.

მაინც ვერაფერს მიხვდა და დაფას დაბნეული მიაშ-  
რერდა.

— ჰო, — ჩაილაპარაკა შოთა მასწავლებელმა, —  
ანწლა არ მოგვცემს ყურძნესა... რამდენჯერ გაგაფრთხილი-  
ლე, ყურადღებით იყავი-მეთქი. აბა, ფირცხალაიშვილო,  
— აბლა მე მომაჩერდა.

წამოვდექი და წაიყითხე:

„სამშობლოს სიყვარული ადამიანს აკეთილშობილებს,  
ძაღლიშვილთ თავიანთი ქვეყნის ავ-კარგი...“ — შევ-  
ჩერდი, წინადაღება დაუმთავრებელი იყო.

— ჰო, ჰო, განაგრძე, — ლიმილით მითხრა შოთა მას-  
წავლებელმა, — რად ულირთ?

— სიცოცხლედ ულირთ. — დაფიქრებით ვუპასუხე.

— სწორია! — დაფისენ მიტრიალდა და ჩემს მიერ  
წარმოთქმული ბოლო ორი სიტყვა ლამაზად დაწერა.  
შემდეგ მაგიდისაუნ წამოვიდა და დინგად თქვა:

— აბა, გადაიწერეთ ეს წინადაღება და ეპიგრაფად წა-  
შემოვარეთ საშინა დავალებას, რომელსაც ზეგ წარ-  
მოადგენთ: რას აკეთებთ სამშობლოს საკეთილდღეოდ  
და რის გაეთებას აპირებთ მომავალში. რიგრიგობით





წავიკითხავთ და განვიხილავთ თავისუფალი საუბრისათვის განკუთვნილ დროს.

წინადადების ჩაწერა ძლივსლა მოვასწარით, რომ ზარიც დაირკეთ.

უცებ კარი გაიღო და კლასში ნუნუ პიონერებლებდღვანელი შემოვიდა.

— შეიძლება? — იყითხა.

— მოდი, მოდი, ნუნუ, — გაუღიმა შოთა მასწავლებელმა.

ნუნუმ წინ გამოდგა ნაბიჭი, მასწავლებელს რალაც უთხრა ხმადაბლა, თან ტყავის ჩანთის გახსნას შეუდგა.

უცებ კარს ურადმულით მოაწყვდნენ სხვა კლასების მოსწავლეები, მაგრამ შოთა მასწავლებლის დანახვისას ზღურბლოთან მორჩილად შედგნენ.

— გამარჯობათ, ბავშვებო! — ახლა ჩვენსკენ შემობრუნდა პიონერებლმდღვანელი. — კარგია, რომ მოგისწარით შემოღით! — გასძახა დერეფანში მდგომო.

მესუთე და მეექვსეკლასელები ხმაურით შემოგვესივნენ.

— ბავშვებო, — ხმამაღლა წარმოთქვა ნუნუმ და წამით ნანას შეავლო თვალი. — დღეს კომევშირის რაიონში ვიყავი, უკრაინელი პიონერების ბარათი გადომცეს, ჩვენს სახელზეა მოსული.

— რას გვწერენ, ხელმძღვანელო?.. — ყველას დაასწრო მედეამ, რაზემულის საბჭოს თავმჯდომარებ.

— ახლავე, მედეა, ახლავე, — თითქოს დაამშვიდა ხელმძღვანელმა. — ხვალისთვის რაზმეულის შექრება გვაქვს განზრახული, მაგრამ ეს ისეთი ბარათია, ერთხელ კი არა, ასჭერ უნდა წაიკითხოთ და მოსმინოთ. — ნუნუმ შოთა მასწავლებლს გახედა.

მასწავლებელმა ნელა დაუქნია თავი და ფურცლები გაუწიოდა.

— ბავშვებო, თქვენ, რა თქმა უნდა, იცნობთ ვარლამ ფირცხალაიშვილს, ნანას ბაბუას, — ნუნუ ხელმძღვანელმა ნანას შეხედა და გაულიმა.

ყველანი ნანას მივაჩერდით. იგი შეცბუნდა.

— აი, მისი ვაჟაცების გმირობაზე გვწერენ უკრაინელი წითელი კვალმაძიებლები დაბა ბერიოზოვკიდან, — თქვა ხელმძღვანელმა.

— უგზოუკვლოდ რომ იყვნენ დაკარგულები? — ოდნავ დაასწრო მამიამ რალაცის სათქმელად შემზადებულ მედეას.

— ამირან და ბადრი ბიძიებზე? — წყნარად იყითხა ნანა.

— ჰო, ნანა, შენი ბიძების შესახებ, — უპასუხა შოთა მასწავლებელმა.

— მომისმინეთ, — ნუნუ ხელმძღვანელმა ფურცლები ხელიდან ხელში გადაიტანა და მოელვარე ხმით დაიწყო ბარათის კითხვა:

„პიონერული სალამი, ქართველო მეგობრებო!

გვსურს გაცნობოთ, თუ როგორ იხსნა სამამულო ომის დროს ასობით ბავშვის სიცოცხლე თქვენი მამულიშვილების, ძმების ამირან და ბადრი ფირცხალაიშვილების გმირულმა საქციელმა.

1942 წელს უკრაინის მიწაზე ფაშისტები გააფთრებით მოიწევდნენ წინ. ბევრი მოქალაქე ვერ ასწრებდა, ევაკუირებას და უმოწყალოდ იღუპებოდა ჯალათების ხელით. სოფელ ბერიოზოვების ბავშვთა დასასვენებელი სახლის პიონერ-მოსწავლეებსაც ეს ბედი ეწეოდათ, რომ ძმებს ამირან და ბადრი ფირცხალაიშვილებს არ გადაერჩინათ.

თავის ნაწილს მოწვევტილმა ხუთკაციანმა რაზმმა, რომელსაც ამირან ფირცხალაიშვილი შეთაურობდა, და-სასვენებელ სახლში მყოფთა ევაკუირება გადაწყვიტა,

მაგრამ ამისათვის საჭირო ტრანსპორტი არ გააჩინდა გრძელები კი საცა იყო სოფელში შემოვიდოდნენ. პირინაფირცხალაიშვილი არ დაბენეულა. მან სამ მებრძოლს უბრძანა ტყე-ტყე გაეპარებინათ დასასვენებელი სახლის ბავშვები და მომსახურე პერსონალი, თვითონ კი ბადრისთან ერთად ფაშისტთა მეშინავე რაზმის შესაჩერებლად დარჩა. საჭირო იყო სოფელთან ახლომდებარე ხიდის აფეთქება, მაგრამ ძმებს ასაფეთქებელი საშუალება არ ჰქონდათ. ამირანმა და ბადრიმ გმირული წინააღმდეგობა კი გაუწიოს გერმანელ მოტოციკლისტებს, მაგრამ ვაზნები თითქმის გაუთავდათ. მაშინ ამირანმა უკან დაიხია, ხიდის თავთან აყირავებულ ავტომანქანასთან მიხეხდა, ბენზინის ავზი გახვრიტა, ცეცხლი წაუკიდა და სწრაფად დაიკავა ადგილი მმის გვერდით.

ხიდი ცეცხლის ალში გახვია... ფაშისტებმა ნახევრად დაწვიარი მეომრების შეპყრობა შესძლებს. ამასობაში კი ბავშვები სამშვიდობოს იყვნენ გაყვანილი.



ფაშისტებმა სასტკად აწამეს ძმები, მაგრამ ისინი სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე გმირებად დარჩენენ.

დამით დაბაში დარჩენილმა იატაკევეშელებმა პიონერების—ვიტალი გავრილენკოსა და კოსტია სტეფანენკოს დახმარებით სოფლის მოედანზე დაყრილი საბჭოთა მეომრების გვამები მოიპარეს და მაღულად მიაბარეს მიწას.

## ე წ ე ბ ი რ ე ბ ი რ ე ბ ი რ ე ბ ი

ხუთიანი აფად გახდა,  
დასტრიალებს თავზე ანა.  
დაუკარგა სხეულს მადა  
და ოთხიანს დაემგვანა.  
დასიცხეულს და უჭმელ-უსმელს  
კითხვის თავი ჰქონდა განა?!

აუნია სიცხემ ისვე,  
გადაიქცა ჭამიანად.

— დაუილუპე, ვაი, დედა! —  
აღვარილვარებს ცრემლებს ანა,  
ამ ხუთიანს, როგორც ვხედავ,  
უნდა იქცეს ორიანად.  
— ალო! — ექიმს უხმობს ანა,—  
გვევდრებით, მოდით მალე!  
ავადა მყავს ხუთიანი,  
მომირნინეთ, დამესმარეთ!

— ვა, ექიმიც გაჩინდა უცებ,  
არ დასტრიდა ფიქრი დიდხანს,  
თქვა: — შეპყრია სიზარმაცე!  
— რა მოარჩინს?  
— წიგნის კითხვა!

— ჩქარა წიგნი, წიგნი მინდა!

ანამ ძილში თვალი ჭყიტა.  
— აქა ვართო! — მეგობრებმა  
ვადმოსხახეს კარადიდან.

## ტ ე ბ ი რ ე ბ ი

ხმანკრიალა წვიმის მოსვლა  
ნეტავ ვის არ აამდერებს.  
მზის სხივებთან ერთად მოსავს  
ამზანებულ მოებს და სერებს.  
— წკაპ-წკაპ! — ფოთოლს,  
— წკუპ-წკუპ! — ყვავილს.  
— კაპ-კუპ! კაპ-კუპ! —  
ფანჯრის მიწას

უალერსებს უამრავი  
წვიმის წვეთი პანანინა.  
ამ დროს ჩემი ჭრელი ქოლგაც  
სიხარულით ფრთებს შლის  
თითქოს. შევერცხლილი სივრცე ბრნყინავს  
დატყვევებულ ფრთებს მოვგავს  
და ქუჩაში გასვლას ითხოვს.  
აბა, როგორ გავაწილებ,

იმწამშივე ვუდებ კარებს.  
— დიმ-დიმ! დამ-დამ! — ეს ხმა  
ტკბილი  
ვუწინება არემარეს.  
შევერცხლილი სივრცე ბრნყინავს  
და ხასხასებს ყველაფერი.  
მღერის ქოლგა, მღერის წვიმა  
და მეც მათთან ერთად ვმღერი.

ძეირფასო მეგობრებო, ერთ ხანს ჩვენთვის უცნობი  
იყო ამ გმირთა ვინაობა. რამდენიმე წელია. რაც ჩვენი  
პიონერული ორგანიზაცია მათ შესახებ ცნობების შეგ-  
როვებს შეუდგა. და ის, ჩვენმა შრომაშ ხაყოფი გამოი-  
ლო. ხელა ერგად ვიციო, რომ იმ ასმით ბავშვის სიცო-  
ქლე შების — ამირან და ბადრი ფირცხალაიშვილების  
ვაჟა უცნდა იხსნა.

ახლახან ადგილობრივი ხელისუფლების დადგენილე-  
ბით გაიაწყდა. დაბა ბერიოზოვების პიონერ-მოსწავლეთა  
დასახვენებელ სახლს ბადრი და ამირან ფირცხალაიშვილ-  
ების სახელი შეინიჭოს და იქვე მოწყოს მათი ბიოგრა-  
ფის ამსახველი ოთხი. ძალიან გთხოვთ მოგვაწოდოთ  
რაც შეიძლება შეტი მასალა მათზე და მათ ახლობლებ-  
ზე, დიდად გავიხარებთ, თუ გვესტუმრებით. გვირი შემ-  
ბის ხსოვნა სამუდამოდ დარჩება ჩვენს გულში. — ნუ-  
ნუ ხელმძღვანელი შეყოვნდა. წამით თვალი მოვევლო  
და ისვე განაგრძო: — ვფიცავთ, არსოდეს ვულალატო  
იმ დიად, კეთილშობილურ იდეებს, რომელთა დასაცა-  
ვდ მათ თავი გასწირეს.

ვფიცავთ, თუ საქიროებამ მოითხოვა. მათებრ თავევა-  
წირვით ღავიცვათ საყვარელი სამშობლო».

პიონერხელმძღვანელმა ფურულები ისე ფრთხილად  
დაღო მაგიდაზე, თითქოს საოუთ, ცოცხალ არსებას შე-  
უშვია ხელი.

საყლისო ოთხში საოცარი სიჩუმე იდგა.

უცებ ვიღაც აქვითინდა. უმალ მივხვდო, ერც იყო...

შოთა მასწავლებელი ნანასთან მივიდა და თავზე ხელი  
გადაუსვა.

— იყდითი ბებია ახლაც ელოდება. დაუარგულები არ-  
იანო და... — სლუქნ-სლუქნით თქვა ნანამ. მას გოგ-  
ნებმა აუბეს მხარი.

— ბავშვები! — ნუნუ ხელმძღვანელმა უველა  
მოგვაგლო თვალი, — ჩვენ უნდა ვიამაყოთ, მათი  
გმირობით. შევარებთ საჭირო მშალებს და გა-  
ვუგზანით უკრაინელ მეგობრებს. ჩვენს სკოლაშიც შე-

ვქმნით მაშაცი ძმების ცხოვრების ამსახველ სტენდებს.  
შერე ერ მათ საფლავებაც მოვინახულებთ. ახლა შეგი-  
ლიათ წახვიდეთ... შენ დარჩი, ნანა.

— ჰო, დაოჩეს. — თავი დააჭინა მასწავლებელმა. ფა-  
ნარაში გაიხედა და აძლიობრა.

უაოლიდან გამოსულებმა შინმოუსელელთა სტენდისა-  
ებ ავილეთ გეზი. ყელას ბაზზე სურდა. ერთხელ მაინც  
ენახა გმირი ძმების სურათები. გოგონებმა წინ გაგვი-  
წრეს.

— ბადრი ბიძა უსაშველოდ ლონიერი ყოფილა. მა-  
მაჩემისაგან გამიგია, წისქეილთან რომ ქვა აგდია, იმ  
ქვას მის მეტი ერავინ წევდა, — თქვა რეზომ.

— ამირან ბიძა ლელობურთს თამაშობდა თურმე გა-  
დასარევად. კის მხარესაც იქნებოდა, ის შხარე ნაღდად  
იგებდა. — ლამარტა თერგზომ.

— უჲ, ზაშისტების ყოფა ვატირე, ვყოფილიყვანი ერ-  
თი იქ! — წამოიძახა გელამ, თან ისე მომწედა, თითქოს  
ჩემგინ შექებას ელოდა.

ბიძებს გაეცინათ. თერდომ და აჩიკობ აქეთ-იქიდან შე-  
მოპრეს ხელები მჩერებზე გელას და გვარინად წაუბიძებს. გელა ჩვენს კლაში ყველაზე ტანძორჩილია.

— ნანა იძისათვის თუ დატოვეს, დაარიგონ, ვარლამ  
ბაბუას და იყდითი ბების როგორ უნდა ამუნოს შე-  
ლების ამბავი, — გადამომილაპათა მამიამ.

დამტორთხალა ძმიოვენედე. შეძეშინდა. საიდანე  
კარლამ ბაბუა ამ გაძმენებეს-მეთქი. რა უნდა მეთქე  
შეხვედრისას? მენუგეშებინაზე ნუგემს როგორ გავუძე-  
დავდო? მიშელოცაზე იძისალუცი ამბავი იქნება ერ ცო-  
მაგრამ ის უსაზღვრო მწუხარება რომ ახლდა? ვაოლად  
ბაბუას ხომ დღესაც შათო დაბოუნების იძელი ათბობდა.

შინმოუსელელთა სტენდთან უფროსებსაც მოყარათ  
თავი. ტანაყრილ ჭადრის ხესთან იდგნენ და გულორი-  
საუბრობდნენ. ჩვენი ელასელი გოგონების იქ დაგვე-  
ლენენ.



ცა ქაფჩით ხელში პირველად შევე-  
ხე მონასტრის კედელს, უცებ მიგწე-  
დი, რომ ეს შენობა საოცრად ძირი-  
ფისი და შშობლიურია ჩემთვის: მე  
ხომ აქ, ქართულ მიწაზე დავი-  
ბადე, საქართველო მატრიონის  
და მზრდის. მაშასადამე, ვალდებუ-  
ლი ვარ კაიკაცობით გადავუხადო  
სამაგიერო ამ მიწას, მის წარსულსა  
და აწყობას...

**რამდენ ტუშელაშვილი:** თბილისის  
48-ე საშუალო სკოლა დავასრულე  
და პირდაპირ ამ სასწავლებულების  
მოვედი. დავამთავრებ და პოლიტექ-  
ნიკურ ინსტიტუტში არქიტექტურუ-  
ლზე შევიტან საბუთებს. მგონია,  
რომ უკვე ვიცი არქიტექტურული  
ძეგლების ფასი და ყალბი, — ოლ-  
ონდ კვენნად ნუ ჩამოიართმევთ  
ამას. ამიტომაც გამიწია გულმა შიო-  
მღვიმისაკენ. 14 საუკუნეა, რაც დგას,  
და თუ არ აქამდე მოაღწია, ჩვენი ვა-  
ლია, გავუხანგრძლივოთ სიცოცხლე.  
თუ არა ჩვენ, სხვამ ვინ უნდა იზრუ-  
ნოს ამაზე?..

**სპარტაკ არხოშვილი:** მე ქარე-  
ლის რაიონიდან ვარ. ჩემს კუთხე-

ბუღალტრის პროფესიას. ავდექი და  
მეთვრამეტე პროფექციურში შე-  
მოვედი. მაიც სულ სხვა მშენებ-  
ლის სპეციალობა! პირველ წრთობას  
შიო-მღვიმეში გავდივარ. გული მი-  
ღელავს, თითოეულ ქვას. აგურს,  
კრამიტის ნატეხს ხელს რომ შევავ-  
ლებ... თითქოს ამ ძეგლის მშენებ-  
ლის, ჩემი წინაპრის თბილ, მფეთქავ  
გულს ვეხები თითებით...

**გოჩა დვალი:** არავის დაუბალებია,  
გინდათ თუ არა, შიო-მღვიმის მო-  
ნასტერს უნდა შევხედოთ და წამო-  
დითო. მეც და ჩემი შეგობარი  
ბონდო ჯიოშვილიც საკუთარი სურ-  
ვილით წავედით იქ. თუნდაც ერთი  
ბზარიც რომ ამოვლესოთ, ერთი აგუ-  
რი რომ გავასწოროთ, ერთი წანაჩ-  
ხანი რომ წავშალოთ, ესეც საქმეა,  
ამითაც გავუხანგრძლივებთ სიცოცხლე-  
ს წინაპრთა დანატოვარს. აქ კარ-ფანჯრები რომ ჩავსით და ია-  
ტაკი დავაგეთ, თითქოს ყოველივე  
საკუთარ სახლში გაგვეათებინოს...

**იური შანავა:** მართლა გულდაგულ  
შრომობენ ბიჭები. ვერაფერს უსაყ-  
ვიდურებ. აღდგენით საჭუშაოსთან

ლეებს კარგად აქვთ შეგნებული  
ჯერის, სევტემბრობის, სამთავ-  
როს, არმაზის მნიშვნელობა საქართ-  
ველოსათვის, ისიც კარგად იციან,  
რომ ყოველივე ამას განუწყვეტელი  
ზრუნვა და პატრიონობა სჭირდება...  
მარინე ლაშაური, მე-6 კლასის  
მოსწავლე: უკვე მესამე წელია, ვუვ-  
ლით წმინდა დემეტრეს ეკლესის და  
ბებარის ციხეს, სასწავლო წლის მან-  
ილზე ორ-საჭერ ავდივართ ხოლ-  
მე ორივეგან, ვასუფთავებთ მიმდე-  
ბარე გარემოს, კედლებზე კშლით  
ტურისტების „ნამოლვაწარს“ —  
კარცით, ფანჯრით თუ ნახშირით  
წარწერილ გვარებსა და სახელებს.  
მათ შორის, სამწუხაროდ, ქართული  
სახელებიც გვცვლება. ჩანს, ას-  
თებს ვერ შეუგნიათ, რომ ეს პატა-  
რა ციხეც და პატარა ეკლესიაც დი-  
დი საქართველოს სისტემის და  
ხორცისმიერი ნაწილია...

**ლია ქარჩაიძე:** მე-7 კლასის მოს-  
წავლე: ჩვენ სირცევილი იქნება,  
რომელიმე სტუმარს შერყყნილი და  
მოუვლელი ისტორიული ძეგლი რომ  
დავახვედროთ. ესეც არ იყოს, პირ-  
ნათელი ხომ უნდა ვიყოთ ჩვენი  
ისტორიის შემოქმედთა წინაშე?

**ზელა ივანიშვილი:** მე-9 კლასის  
მოსწავლე: შე მგონია, არანაკლებ  
თავარისა პასუხისმგებლობა — მო-  
მავალ თაობათა წინაშე პასუხისმგებ-  
ლობა. რა იტყვიან 21-ე თუ 22-ე  
საუკუნის ქართველები. დღემდე  
მოლწეული ისტორიული ძეგლები  
რომ ვერ შევუნახოთ?..

**ირაკლი ციციშვილი:** მართალია.  
სწორედ ასე უნდა მივუღვეთ საქ-  
მეს, ასეთი შეგნებით უნდა მოუქა-  
როთ და ეუპატრიონოთ ნებისმიერ  
ისტორიულ ძეგლს. მნიშვნელობა  
არა აქვს მას, ეს ძეგლი გრანდიო-  
ზული სევტემბრელია თუ პატარა  
უბინდა დემეტრეს ეკლესია, ბაგრა-  
ტის ტაარია თუ პეტრას ციხის ნაშ-  
თი... ეს — ჩვენი ხალხის, ჩვენი მიწა-  
წყლის ისტორიაა, ისტორია, რომელ-  
საც სწორედ ისეთი გულიანი და  
მტკიცე პატრიონი სჭირდება, როგო-  
რებიც მეთვრამეტე პროფექციური  
სასწავლებლის მოსწავლეები და  
მცხეთელი პიონერები არიან, ისინი,  
რომლებიც ხვალ მთელ საქართვე-  
ლოს უნდა ეპატრიონ.

საუბარი მიჰყავდა  
6. ფასლანიშვილსა და 6. აზახავას



მაღლიანი უროვანი უამდებარება ურიგო...


გარემოში ბევრი არქიტექტურული  
ძეგლია. მარტო ყინწვისი რად  
ლირს!.. შიო-მღვიმეს რომ ვული,  
ყინწვისის ტაძარი მიდგას თვალ-  
შინ. ისიც და ესეც ჩემი საზრუნვი  
და მოსაულელია, არა მარტო ისინი,  
— ალავერდიც, იყალთოც, ქვათა-  
ხევიც, ზარზმაც...

**ჯუმბერ ლაგაზაშვილი:** მცხეთის  
რეაწლიანი სკოლის შემდეგ სასოფ-  
ლო-სამეურნეო ტექნიკუმი დავაძ-  
თავრე. მაგრამ გული ვერ დავუდე

ერთად არც კეთილმოწყობის სამუ-  
შაო დავიწყებიათ: მონასტერში მი-  
სასკოლელი გზის გასწვრივ, ორივე  
მხარეს, ასობით ძირი ხე დარგეს და  
მათი გახარების გარანტიასაც იძლე-  
ვიან.

**ალექსანდრე ლაშაური,** მცხეთის  
საშუალო სკოლის დირექტორი:

ყველას მოესენება, მცხეთა სა-  
ქართველოს უძველესი დედაქალაქია  
და ისტორიული ძეგლებითაც ძალზე  
მდიდარი გახლავთ. ჩვენს მოსწავ-



ბოდა, თითქოს მთელი თავისი ჯანი გაასწე გადაიტანაო. ქათქათა ლეჩაქ-ზე ბალლოჭის ყვავილები აცვიდებოდა, ხის ჩრდილი უჭრელებდა ოდნავ მოხრილ ზურგს და დაღარულ სახეს. ხშირად დიდონი მწვანე თვალებს მოხუცავდა, ხელით მოიჩრდილებდა და ბავშვებს დაც-კერდებოდა. მისევნ გამოგორებულ პატარა, ოთხფერა ბუროს ჯოხის წვერით უქან გაუგორებდა, ისევ დასავენებდა ტანს, ისევ მიენდობოდა ჯოხის.

მერე დადგებოდა ის დღე, ყვა-კილები ფართატით მოეფინებოდა არემარეს. გამონანაკვებოდა მწვანე ბალი: ცოტაც და მხეზე შეწილდებოდა, ბოლოს შავად, გიშერივით აფაფლებოდა. ეკიდა ორ-ორი, ზო-ჯი საძ-სამი, ზოგი ოთხ-ოთხი, ერთ- ანეთს ნელა ეხებოდნენ, მხეზე კრიალებდნენ, წვიძაში მარგალიტის საყრეებს დაიკიდებდნენ, მოგრძო ფოთლების ჩრდილში ინაბებოდნენ და ავ შეახმებოდნენ თავისსავე ყუნ-წელ კურას, საცოდავად გაიფიჩებოდნენ.

მერე თრთვილი დაუკრიალებდა შიშველ ტოტებს, ფიფქი, როგორც

## კალებითი

ორლი ველაჭორისა

მოთარება

მატვარა გაიოზ უოლებავილი

სახლის კუთხესთან, ქუჩაში, იღგა ხე. როდის ამოვიდა და ტანი აიყარა, არვეს ახსოეს. გაზაფხულზე ხე პატარაძალვით მოირთვებოდა, გაფაშ-ფაშდებოდა, წვრილ-წვრილი, ხშირად მიყრილი თეთრი ყვავილებით თავს იწონებდა. ყვავილებს შავი, გრძელი მტკრიანები წამწამებივით უხდებოდა. მზითა და მთვარით გა-ნათებული ბალლოჭი ჭრელი ჩრდი-ლოთ ამშვენებდა სახლის კუთხე კუ-დელს. სარკმელს თუ ქუჩას. ბავშ-ვებს ხის ძირს მყუდრო უყვარ-დათ. როგორც კი მზის სითბო ბებერ ქველებს ეამებოდა, ბებია ლეჩაქს დახურავდა, ხავერდის მოსასხამს მხედვებზე მოიგდებდა, ჯოხით ფრთხი-ლად ჩაივლიდა კიბეს, ხის ძირს მიწაში ჩასმილ, წვიმისავნ განაც-რისფერებულ სკამზე ჩამოჭდებოდა, ჩებივით აშვერილ, სადაცით მორჭ-ვილ ჯოხის თავს ცისფერი ძარღვე-ბით დაფარულ, რბილ ხელებს ჩა-მოდებდა და ფიქრობდა. თავაზიან სალაშე ნათელი ლიმილითა და კეთილი სიტყვით უპასუხებდა გამვლელებს, მერე ჯოხის თავზე ხელს შეინა-ცვლებდა, ჯოხს ისევ ისე დაყრდნო-

დათ, შიგ გულში გაუვლიდათ სინაზ-ლე, სილრმიდან გამოანათებდა, აწ-რიალდებოდნენ კიდეც, ოლროჩოლ-რო ჰედაპირს იდნავ სისველე დააჩ-ნდებოდა. მოვიდოდა გაზაფხული და, თითქოს ლოლუას გულიდან ბროლის სიმი გამოსწია უხილავმა-ხელმაო, სანთელივით ჩამოიღვენო-ბოდა, აწურწურდებოდა. მხოლოდ გაზაფხულზე მღერის ასე წყალი.

ცრემლივით ჩამოწვეთილი ნაუ-რი წამოვიდოდა, კუდს გაკეთებდა და კვემოთ. გაყინულ გუბეზე გა-დენდა ტყაპანს. ერთი, ორი, სამი წვეთი და... ჩაისვრიტებოდა სულ ხეკის სიმსხოზე ყინული. ნასვრე-ტიდან კამა წყალი გამოაჭყიტებ-და ცისფერი თვალივით: მაგრამ ახა-ლი ნაური ჩაილვრებოდა და წყალს ამობრუნებდა, შეეფებს ბროლის ნაშიცრევებივით მოაპნევდა ირვ-ლივ.

იდგა ბალლოჭი და დასტეროდა გუბის კრიალა ცისტერ თვალს. ჩი-ტები ახლა ნაურით ჩასურეტილი ყინულიდან სერეპლნენ წყალს და ისევ ცას შესცეროდნენ. ნასიამო-ნები ხტუნა-ხტუნებით იქატრობას დაიკლიდნენ. მაგრამ წვეთი თუ თვე-ზე ან ტანზე დაეცემოდათ. კუვეის ატეზნენ და ისევ ხეს შეაფარებ-ლენს თავს.

ასე მშენდებოდა კაველ წელს



კუვავილობაში, დაფარავდა თეთრად. მაგრამ ისევ ამაოდ.

სწორედ ბალლოჭის ძირში გამო-დიოდა ბუუბუყით ლარიდან სახლის სახურავზე დაგროვილი წვიმის წყა-ლი თუ თოვლის ნაური და პატარა გუბე დგებოდა ხის ძირას. რაც გუ-ბეში ჩაეტეოდა, ხომ კარგი, რაც არა და, ქვემოთ რუში მიჩხრიალებ-და. ამ მზის სხივით ალიცლიცებულ გუბეში უყვარდათ ჩიტებს ჭყუმა-ლი, ტრიალი, ფრთხიალი. პაწია ნისკარტით შესვამდნენ ცივ წყალს, თვალით ზეცას შეაჩერდებოდნენ. მაგრამ სულ პატარა ხმაურზე გუნდ-გუნდად ბალლოჭე აფრინდებოდ-ნენ, ხშირ, ლამაზ ტოტებს თავს შეაფარებდნენ. ტოტებზე ერთმა-ნეთს ეალერსებოდნენ; ხან ადგილი ეცოტავებოდათ და ჩხუბობრენ აფხორილები, გაგულისებულები.

გუბე ზამთარში პირს შეიკრავდა. ყინულით გადაკრიალდებოდა. ზე-მოთ, სახლის ერდოზე, გუშინ რომ არა იყო რა, დილით (ლამესა და მთვარეს თურმე რამდენი უმუშავ-ნიათ) ბროლის ლოლუები დაეკიდე-ბოდა. მზის სხივი იმათაც უხდებო-



ბალოჯი თბილ გაზაფხულზე და იძარცვებოდა შემოღვიძის სისინა ქარიან დღეებში, მაგრამ ერთხელაც არავის უგემია მისი ნაყოფი. იღა ხე შეძრმუნებული, გულდაწყვეტილი. სარკმელს გაალებდი და შენსკენ გამოწვდილი მქლავებივით შემოიჭრებოდა ოთახში ბალოჯის ტოტები. სარკმელის მინში დაიხატებოდნენ და მიყუჩდებოდნენ. სხვის ბედნიერებას გაყუჩებული შესცერდნენ.

წყნარ ღამეში ბალოჯის ყვავილები იჩეოდნენ, თითქოს ჩურჩულებდნენ. მაგრამ ერთხელ რაღაც უხეშმა დარტყმაშ შეძრა ღამე და ხე. კიდევ გაისმა დარტყმა და თითქოს დაიკვნესა ვიღაცად.

„რას შერები, კაცონ!“ — უთხრეს ჟემოდან ცულიან კაცს.

„ცოტა ნაგავი და ფოთოლი იყრება ქვეყნად, ახლა ამ მუქთახორის

უვავილებიც არ ვგავონ?“ — დათვივით ჩაიბურდლუნა მეეზოვემ ხის ძირას.

„ამოვიდა და რა ქნას?“ — დინად იკითხა ქომაგმა.

„მაგან რა უნდა ქნას, მე უნდა მოვკრაო“, — თითქოს თავისთვის თქვა მეეზოვემ.

„არ გებრალებაო?“ — ჩასძახა ზემოდან ქომაგმა.

„მებრალება რა, ბიძაშვილია?“ — აგდებულად მიუგო მეეზოვემ.

„შენი არა და ბლის ბიძაშვილია. ჩემი ბრალია, შენი სალაპარაკო გავხადე, არ დავამყენიო“, — გულდაწყვეტით თქვა ქომაგმა.

ისევ შეირხა წყნარი ღამე და წამში ბალოჯის ქომაგი გვერდით ამოულგა შეუბრალებელ კაცს.

„არ იშლიო?“ — ჩუმად უთხრა;

და ღამეში, მთვარის თუ შემოსულ შეკრისადაც მკვეთრად გაიკიაფა და ზუზუნით გაქრა.

დილით ისევ მშვიდად, თეთრი ყვავილებით დამშვენებული იღგა ბალოჯი. ისევ, ხის მყუდროში, თამაშობლენ გოგო-ბიჭები. ბებია სადაფით მოოჭვილ ჭოხს დაყრდნობილი დაჰყურებდა თავის დარღს. ჩიტები უივეივით სვამდნენ გუბის წყალს, ახედავდნენ ცას, ფრთხიალით ტოტიდან ტოტზე ხტოდნენ.

მეეზოვე მთელ დღეს დაეძებდა თავის ცულს: „მიწამ ჩაყლაპა თუ ცამ, ვერა გამიგიაო“...

ქომაგი კი იდგა მუხლებზე ხის წინ და ნაჭრილობებზე ლამით დადებულ სახეევებს გუბის კამქამა წყლით უსველებდა.

ლოებს აწვალებდნენ, თავებს ატრიალებდნენ და ნისკარტებს აკაკუნებდნენ... ცას ცალი თვალით ისე შეკურებდნენ, თითქოს ორივე თვალის გასწორება უძნელდებათო. მერე ერთმანეთს რაღაცას გადაულულუნებდნენ და ისევ აფრინდებოდნენ, ისევ დაეშვებოდნენ. მოუსვენრად გარს უვლიდნენ ერთმანეთს მომდურავებივით.

შგონი ძერამ გადაუჭრა გზა ხუნდებს ცაში.

წერტილებად ქცეული მტრედები გამჭვირვალე ცაში დასრიალებდნენ, მაგრამ მალე აირივნენ და ისე გაჩერდნენ, თითქოს ცას სამუდამოდ აეკრენ. ძერა მოუსვენრად ტრიალებდა, ფრთებგაშლილი, ნისკარტგაშვერილი წამოვიდოდა დედამიწისაკენ, ისევ წავიდოდა, წავიდოდა მაღლა, მაგრამ სულ მალე საღლაც თავდებოდა მისი სიძლიერე...

ქედნისფერი მკერდგამობურთული მტრედი მეტისმეტად ბობოქრობდა სახლის სახურავზე. უეცრად მოსწყდა ადგილს და გაფრინდა. წავიდა, პირდაპირ ძერისკენ აიღო გეზი. ძერა მტრედის დანძხვისას მაღლა აიმართა. ზემოდან უყვარს მსხვერპლის დაძგერება და მოემზადა. მტრედი უფრო მაღლა იწევდა. ძერა, სანამ შეეძლო. აჲყვა, მაგრამ მტრედი უკვე ძალზე მაღლა იყო, ამიტომ ლეგა ფრინველი დაბლისაკენ წამოვიდა და დაეშვა.

ძერას მაღლა, ცაში, ხუნდებთან ასვლის ჯიში არ ჰქონდა და მტრედებშია კარგად იცოდნენ ეს. გუნდი



## დ ჰ რ ა

მოთხოვთა


უეცრად სახურავზე დარჩენილი მტრედები აირივნენ, აიკეცეს ვარდისფერი ფეხები, ბოლოები მარაოსავით გაშალეს, ფრთხიალით, შეუილით ავარდნენ მაღლა, მაგრამ თითქოს ვიღაცამ უბრძანათო, ისევ სწრაფად დაეშვნენ სახლის წითელ სახურავზე და გაუთავებელ სიარულს მოჰყვნენ. დადიოდნენ, ბო-



# «ბერძნები, ჩვენ გმავვეთი



## კაზბეკი!



აირია დიდი მტრედის დანახვაზე, მე-  
რე ისევ გაქერდა და დაელოდა.

მტრედი ხუნდების გუნდს შეერია,  
ცოტა ხანს გათ შორის იფრინა და  
წამოვიდა. წამოვიდა ისე, თით-  
ქოს რალაც დაუბარა შეგირდებსო.  
ხუნდები ახლა არხეინად დასრიალე-  
ბდნენ გამჭვირვალე ცაში, მერე შე-  
ჩერდნენ, ალბათ დედამიწას დააც-  
ქერდნენ.

მტრედი სწრაფად დაეშვა დაბლა,  
ძერას წინ გაუფრინა და წავიდა.  
ძერა გასროლილი ისრის სისწრაფით  
გამოედევნა, მაგრამ ქედნისფერი  
მტრედი შალლა ავარდა. ძერა ტა-  
ტით დაეშვა, თითქოს სული მოითქ-  
ვაო.

ლურჯ ცაში ჭვარივით გაყრული-  
ყო ძერა. მტრედი ისევ გამოჩნდა,  
ჩაუქროლა და შორს, შორს გაიტ-  
ყუა, მერე გამობრუნდა და ფრთე-  
ბის ძლიერი ფათქუნით ჩაუარა.  
მოულოდნელობისაგან დაბრეულმა  
ძერამ წამით თითქოს წონასწორობა  
დაჭარვა, გეგონებოდათ, მიწას  
ენარტებაო, ისე წამოვიდა, მაგრამ  
მალე მოეგო გონს და ავარდა უკან,  
თითქმის მიუახლოვდა მტრედს.  
მტრედმა მკლისფერ თვალებთან  
ჩაუქროლა, სისხლი აუმღვრია, ჭერ  
პირდაპირ წავიდა, მერე გამოფრინ-  
და და მისკენ შურდულივით წამო-  
სულ ძერას ზედ ნისკარტთან გაუფ-  
რინა, ძერამ ერთი ბუმბულის წაწყვე-  
ტალა მოასწრო; ბუმბული უმწეოდ  
ტორტმანებდა ჰაერში.

ძერა ისევ გამოედევნა მტრედს  
და გაუჩინარდნენ. სწორედ ამ დროს  
ხუნდების გუნდი ცაში აირია, მე-  
რე ნელ-ნელა გაიზარდნენ და ჩა-  
მოსვლა მოასწრეს, დასხრდნენ წითელ  
სახურავზე. ʌშვილობით დაბრუნე-  
ბულებს ხალისით შეეგებნენ დანარ-  
ჩები.

ჰაერში მხოლოდ ძერა დასრია-  
ლებდა, სახლის სახურავზე ისევ  
ააკუნეს დარდისფერი ფეხები  
მტრედებმა, იწყეს აფრენა და უკან  
დაშვება. უცებ ცაშე პატარა მოძრა-  
ვი წერტილი გამოსრიალდა. მტრე-  
დები დაშვიდდნენ და აღუღუნდნენ.

ძერა ერთ ადგილზე ტრიალებდა,  
ღიძენას ელოდა შალლა, ცაში მო-  
ფარფატე მტრედს, ალბათ იმედი  
ჰქონდა, ძალა გამოელევაო. მერე  
ერთხელ კიდევ სცადა ბედი.

ბოლოს გამეზრდა ძერა, ახლა  
სახლის სახურავზე მოღუღუნე მტრე-  
დებს დაუტრიალდა, დაშვება ვერ  
გაბედა, ისევ ცისკენ აინავარდა. ცო-  
ტა ხანს ისრიალა, მერე თითქოს  
ნისკარტით ჩქრია გზა ციდან დედა-  
მიწამდე, ერთბაშად აიზინქა ფრთები,  
ირაო დაარტყა ლავარდისფერ ცაშე  
და გაფრინდა.

საქმაოდ ვრცელ ოთახში ცველა-  
ფერი ლამაზად, აზრიანად არის გან-  
ლაგებული — სტენდები, პლაკატები,  
გმირ პიონერთა პორტრეტები, პიო-  
ნერული ატრიბუტები... აქ შემოს-  
ვლისთანავე გული გაგინათდებათ.  
ეს პიონერთა ოთახია, სადაც გაკ-  
ვითილიდან გაკვეთილამდე და გაკ-  
ვეთილების შემდეგაც მუდა „ხალხ-  
მრავლობა“ — წითელყელსახვევია-  
ნი გოგონები და ბიჭები ხმადაბლა  
მსჯელობენ. კამათობენ ყოველდღი-  
ურ საჭირობოროტ საკითხებზე, რჩე-  
ვისათვის მიმართავენ უფროს პიო-  
ნერების მძღვანელებს მინანა დოლა-  
ბერიდეს და ანა მერაბიშვილს.

ოთახის ერთი კუთხე დანიელ ფე-  
რის სახელობის ინტერნაციონალუ-  
რი მეგობრობის კლუბის „საკუთრე-  
ბაა“. მას ამ კლუბის საბჭოს შზრუნ-  
ველი ხელი ატყვია.

მაგიდაზე რამდენიმე გრძელი,  
ვიწრო ყუთია, ყუთებში ჩვენი ზოალ-  
უწვდენი ქვეყნის მრავალი ქალაქი-  
დან და სოფლილან მოსული ბარა-  
თებია მჭიდროდ ჩაწყობილი, თემა-  
ტურად დახარისხებული.

ა ერთ-ერთი ბარათი. კონვერტუ-  
ლუმოდგინედ გამოყვანილი ასოე-  
ბით აწერია:

„საქართველოს სსრ  
ქ. თბილისი  
141-ე საშუალო სკოლა,  
VII<sup>3</sup> კლასის წარჩინებულ მოსწავლეს,  
14 წლის გოგონას“.

ვიღებთ წერტილს კონვერტიდან.

„ჩემო უცნობო თანატოლო!  
ბევრი რ.მ მსმენია მზიურ საქარ-  
თველოზე, თბილისზე. პოდა, გადა-  
ვწყვიტე დაგიმეგობრდე შენ და



შენს ამხანაგებს, რომ უფრო მეტი გავიგო თქვენი მშენებელი მხარის შესახებ. მინდა ვისწავლო ქართულად წერა და კითხვა. ძალიან გთხოვ, თუკი არსებობს, გამომიგზავნო „ქართული ენის ოცნებასწავლები“ რესულ ენაზე.

შენი მომავალი მეგობარი ირინა სკიბე, უკრაინის სსრ, ხარკოვის რაიონი, სოფ. ერკოვეცი.

24 მარტი, 1980 წ.

წერილის ადრესატად კლასმა ერთხმად თამილა გოგონება მიიჩნია. თამილამაც არ გაწმილა მისი კბილა უკრაინელი გოგონა. თხოვნაც შეუსრულა და თანდათან კიდეც დაუმეგობრდა. მართალია, პირადად არ უნახავთ ერთმანეთი, მაგრამ მეგობრობამ ხომ მანძილი არ იცის.

აგრ კორომილვგრადელი სკეტა-ლიშვის ბარათები მეშვიდე-კლასელ ირმა ბოჭინშვილის სახელზე. სკეტას საქაფარი სახატები და თოჯინა უსახსოვებია ირმასთვის. ირმაც როდი დაწენილა ვალში — ხატვა მასაც უხერხება და აკვარელით შესრულებული „გოგონა კრისტი“. აგრეთვე თბილის ღირსშესანიშნაბათა ფოტოები გაუგზავნია რუსი მეგობრისთვის.

და ამდენი ასეთი წრფელი, გულითადი ბარათია მჭიდროდ ჩაწყობილი გრძელ, ვიწრო უჟოვებში, ბარათები ზურა ჭელიძის, ნიხო ირემაშვილის, ნანა ჭაიშმელაშვილის, ოლევ ბურჭულაძის, მადლენა გზირიშვილის, მაია სიგუას და სხვათა და სხვათა სახელზე მოსკოვიდან, ლენ-

ნგრადიდან, კიევიდან, მინსკიდან, აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან, აფხაზეთიდან, სამხრეთ საეთიდან...

კლები სექციებად არის დაყოფილი. ერთ-ერთი მათგანია „15 რესპუბლიკის სექცია“, რომელსაც ეკა ჭილაძე ხელმძღვანელობს. სწორედ ეს სექცია უწევს ორგანიზაციას სკოლის პიონერთა მიწერ-მოწერას საბჭოების სხვადასხვა კუთხის მკაფიობრივი თანამდებობაზე, სწავლობს მოძრეობის უწევების მინინდობრივი თანამდებობაზე. „ორი სამყარო—ორი ბავშვობა“. „საბჭოთა კავშირის როლი მშვიდობის დაცვის საქმეში“). მარად დაუვიწყარი იქნება ხაუნა დემოტიურისა და დალი შინიაშვილისათვის შარშან იანვარში ულან-ოვსეში გატარებული დღეები. დიდი ლენინის მშობლიური ქალქის დათვალიერებით გამოწვეული შთაბეჭდილებები აღფრთოვანებით გაუწიარეს აზმეულს.

სექცია ხშირად აწყობს ხალხთა მეგობრობისადმი მიმღვნილი სიმღერების კონკურსს, პოლოტიური პლატების გამოფენას, შონაწილების მოგზაურობებში სხვადასხვა რესპუბლიკებში, ატარებს დისპუტებს (საინტერესო იყო დისპუტები თემებზე: „ორი სამყარო—ორი ბავშვობა“, „საბჭოთა კავშირის როლი მშვიდობის დაცვის საქმეში“). მარად დაუვიწყარი იქნება ხაუნა დემოტიურისა და დალი შინიაშვილისათვის შარშან იანვარში ულან-ოვსეში გატარებული დღეები. დიდი ლენინის მშობლიური ქალქის დათვალიერებით გამოწვეული შთაბეჭდილებები აღფრთოვანებით გაუწიარეს აზმეულს.

„საერთაშორისო მიმოხილვათა სექცია“ ადგილობრივი რადიოგადაცემების საშუალებით ყოველ ხუთშაბათს ატარებს საუბრებს ერთი კვირის მანძილზე მსოფლიოში მომხდარ მნიშვნელოვან ამბებზე, ერთა მშობლისა და მეგობრობის ფაქტებზე. სექციის წევრებმა მთელ რაზმეულთან ერთად შონაწილება მიიღეს.




ამ რამდენიმე თვის წინათ გამოცხა-  
დებულ მშევიღობისა და პროტესტის  
მარშში, ხელი მოაწერეს აშშ-ის იმ-  
დროანდელი პრეზიდენტის—კარტე-  
რისადმი გავზავნილ პროტესტს და-  
სავლეთ ევროპის ქვეყნებში ახალი  
ბირთვული იარაღის განლაგების თა-  
ობაზე.

— მე „ნაირფერყოფლსახვევიანთა სეკუიას“ ვხელმძღვანელობ, — გვე-საუბრება ნინო პაპიაური. — მსოფ-ლიოში ქმიტალ სამოცამდე ბავშვთა პროგრესული ორგანიზაციაა. ყოველ მათგანს თავისებური ყელსახვევი აქვს: ზოგი წითელია, ზოგი ლურჯი, ზოგი ნარინჯისფერი, ზოგში კი ორი ან სამი ფერია ერთმანეთს შერწყ-მული. გვინდა ყველანაირი ყელსახ-ვევი შევკრიბოთ და გამოფენა მოვა-წყოთ. ხომ ლამაზი, საინტერესო გამოფენა იქნება? ამას წინათ პოლ-ონელმა პიონერებმა გვთხოვეს ყე-ლსახვევი გავვეგზავნა მათთვის. ცხა-

კებსა და უცხოელ თანატოლებთან, — ამბობს ხათუნა ფურულელაძე. — ჯერ ჩვენ გავეცანით. შემდეგ კი უმ-ცროსკლასელებს შევასწავლეთ ფრანგი ბავშვების თამაშები: „სიმი-ნდობაა“, „გადალახე ჭაობი“, „სამ-ოვზაუროდ მიყდივარ“, „თევზები“, იტალიელებისა — „იპოვე შენი აღ-გილა“ „აიღე ალმი“. ეს თამაშები ძალიან მოწყონათ პატარებს.

8 თებერვალი ნორჩი გმირი ანტი-  
ფაშისტის დღეა. ეს დღე შესანიშნა-  
ვად აღნიშნა სკოლის ინტერელუბ-  
მა — მისმა წევრებმა წარმოადგინეს  
ლიტერატურული მონტაჟი. რომელ-  
მაც ყველა ცნობილი ნორჩი ანტი-  
ფაშისტის სახე წარმოაჩინა. ამ წარ-  
მოდგენის მონაწილენი ბ. ძელაძის  
სახელმობის პიონერთა და მოსწავლ-  
ეთა რესპუბლიკურმა სსახლემ ქე-  
ბის სიველებით დაგილდოვა.



დღა, სიამოვნებით შევუსრულეთ  
თხოვნა. პოლონელების გარდა, რუ-  
მინელ და ბულგარელ პიონერებთა-  
ნაც გვაძეს შეგობრული მიწერ-მოწ-  
ერა.

— „ვიმღეროთ და ვითამაშოთ  
თქვენთან ერთად“ — ეს სეკცია იმი-  
ტომ ჩამოვაყალიბეთ, რომ უფრო  
გავარტმაოთ ჩევნი სკოლი პიონე-  
რთა მეუღლერობა მომწერებული-

ମାତ୍ର କେବଳ, କେବଳ କୋଣପି, ଏ-  
ଥିବା ବିନଗାତିବା ଯୁଦ୍ଧ ଉତ୍ସବାଲୋକନ  
କାହାରେ କାହାରେ କାହାରେ କାହାରେ

პილიკები მომავალში უფრო დაგრძელდება, განვიტოცობა. ამის საწინააღმდეგო კლუბის საბჭოს ბეჭითი მუშაობა, სკოლის პიონერთა სურვილი და მოწადინება.

თბილისში, ავტოლის გზატელილის №11ა-ში მდებარე სკოლაში ყოველ-დღე მოდის მავანი ქალაქის თუ სო-ფილის საფოსტო შტემპელდაშეული ბარათები. და ყველა ბარათი ასე იწ-ყება: „გამარჯობა, ჩემ მომავალო მეგობაროვანი“.



## უკავილები საჟარელი გასწავლებლისათვის

ჩემს ცხოვრებაში პირველი სას-  
ჭავლო წლის პირველი დღეა — 1  
სექტემბერი... ყველილებით ხელ-  
დამშვენებული თასატოლები სკოლი-  
საკენ გზას მივუყვებით და არც კი  
გვესმის, რომ ეს ჩვენი ცხოვრების  
თითქმის ყველაზე მნიშვნელოვანი  
და რთული ნაბიჯია.

მივდივარ. მიმინარია სკოლისაკენ,  
გული კი ჩიტივით მიფრთხიალებს —  
მეშინია. მე ხომ ასეთი ნამცეცა  
ვარ, სკოლა კი ჩემს წარმოდგენაში  
დიდზე დიდია. მივდივარ და მდელ-  
ვარებამორეულს ისიც კი არ მაცი-  
ნებს, რომ ჩემი თანატოლები ჩემსა-  
ვით ძლიერს ერევიან ჩანთებს.

სკოლის კარებთან დედაქმიგით  
ლამაზი ქალი გვხვდება. თვალები  
უცინის, კეთილი სახე აქვს. ისეთი  
თვალებით შემოგვყურებს, თითქოს  
მთელი სიცოცხლე ჩვენ გველოდა.  
ყვავილებით ვხუნდავთ ჩვენს პირ-  
ველ მასწავლებელს და ისიც თითო-  
ეულ ჩვენგანს დედასავით ჰქოც-  
ნის.

და აი, პირველი ზარიც ირეკება.  
ბავშვები წიწილებივით ვართ დაბ-  
ნეულნი. მერჩებთან უხერხულად  
ვდგავართ — არ ვიცით, როგორ მო-  
ვიქცეთ, ვლელავთ. თანაც ატირება-  
საც აღარაფერი გვიყლია.

ძარო მასწავლებელი კი გვამშვი-  
დებს. მერე შერჩებთან სათითად  
მივყავართ და წყნარად გვეუბნება — „აბა, დასხედით“, უურნალს კით-  
ხულობს, — ჩვენს გვარებს იმახსოვ-  
რებს. ცოტა ხნის შემდეგ კი უკვე  
მეგობრები ვართ.

მეორე დღეს იგი ანბანის პირველ  
ასოს — ანს გვასწავლის. წერა გვი-  
ჭირს — პაჭია ხელებს კალამი ქნე-  
ლად ემორჩილება. მარო მასწავლე-  
ბელი თითებით ფრთხილად გვაჭი-  
რინებს კალამს — გვეხმარება. თბი-  
ლი ხელი აქვს.

მერე, როცა ერთი, ორი, სამი წე-  
ლი გავიდა, ჩვენ მიეხდით, რომ მის  
ხელსაც გულის სითბო ჰქონია.

მას შემდეგ დიდი დრო გავიდა.  
მე ახლა უკვე მეშვიდეკლასელი

ვარ. მეშვიდეკლასელები არიან ჩემი  
მეგობრებიც, ვისაც მარო მაჩხანე-  
ლის ხელისა და გულის სითბო 1  
სექტემბრის იმ დღეს ერთად გვერ-  
გო, ვინც „დედა ენის“ პირველი  
ასო მისი დახმარებით წავიკითხეთ.

დიდი დრო გავიდა. ჩვენ კი ისევ  
ყვავილებით ხელდამშვენებული  
მოვდივართ მასთან, ძველებურად  
ვლელავთ, — გული ჩიტივით გვიფრ-  
თხიალებს.

მარო მასწავლებელი ზორბლზე  
აღარ გვეგებება. ჩუმად ვუწყობთ  
თავთან თაიგულებს. ვღუმვართ.  
ჩვენ ახლა დიდები ვართ და გვესმის,  
რომ ჩვენი უს შეხვედრა უკანასკნე-  
ლია. და უნებურად სკოლის ქარებ-  
თან ჩვენი საყვარელი მარო მასწავ-  
ლებლის მაშინდელ, სულ პირველ  
ლიმილიან შემოგებებას ვიგონებთ,  
როცა ჭერ კიდევ პატარები ვიყავით.

დალი გარუავილი,  
თბილისის 64-ე საშუალო სკოლა,  
VII კლასი.

# ՀԱՅՈՒԹՅՈՒՆ

ଟୀଏ ପାଶକାଳେ କାଳ

მამულისათვის, როგორც გორგასალს,  
როგორც დიდ დავითს,  
ხელთ გეპყრას ხმალი;  
თუ დასჭირდები, როგორც დიმიტრიმ,  
შენც მშობელ მინას შესწირე თავი.

ତୁ ମୁକ୍ତିରଙ୍ଗଠି ଗଳିଦୟରୁ ଗୁଣୀ ପାଶ୍ଚାତ୍ୟିଲି,  
ଏ ତୁ ଏକ ଗ୍ରସୁରାଜ୍ୟ ତାପତ୍ତି ଲେଖାଏଇ,  
ମାଧ୍ୟମିକ୍ସ ନାୟକ୍ୟ ମୁକ୍ତିରଙ୍ଗଠି ମାଲାମିଲାଇ  
ସ୍ଵାନ୍ଧିକ୍ସନ୍ଦେଶି କିଲିବଲିଲି ନ୍ୟେତାମିଲାଇ.

თუ ვაჟებიცი ხარ, მაშ უერთოგულე  
მამა-პაპებულ ფუძეს და კერას,  
შენი მარჯვენა სჭირდება სოფელს,  
ცხვარსა და dროხას, ყანას და ვენახს.

ფროლადის მეცნავით დაიმორჩილებ  
შემაგი ენგური, მტკვარი, ამიტომ  
და კომენიზმის მაღალ შენობას  
შენც მიამატე ერთი აგური.

მამულის მკერდზე, როგორც ყაყაჩო,  
დაანთე შენი ლექსის ბძვარებიც,  
რომ მხოლოდ, მხოლოდ სიკეთისათვის  
რევდნენ მაგ სულის ოქროს ზარები.

ମାତ୍ରାଳୀ

შენ ჩემი სალოცავი ხარ,  
მე—შენი წმინდა სანთელი;  
გულს მისალისებს შენი მზე,  
თავს მადგას შენი ნათელი.

ହେଠି ଶୁଣୁଥିଲେଇଲେ କ୍ଷୁଦ୍ରାଳ୍ପାନ୍ତିକ  
ମାର୍ଗାବ୍ୟାପିକ ଦ୍ୱାରା ପରିବର୍ତ୍ତନ ହେଲା,  
ମେ ଶେବେଳୀ ଲ୍ୟାଙ୍କିଲୀ ଶ୍ଵାଗରୀ ଜାର,  
ଶେବେଳୀ-ହେଠି ତ୍ରୁପ୍ତିଲେଇଲେ ମିଶିପାରିଲା.

დაგჭირდეს? თავს განაცვალებ,  
ვით ძელად შენი შვილები,  
შენთვის მოუსულვარ ამ ქვეყნად,  
შენთვისუ გავინირები.

შენ ჩემი ლექსის სული ხარ,  
ჩემი ლხება და სიცოცხლე;  
მოვავდები? — შენთვის მოვავდები,  
ვიცოცხლებ? — შენთვის ვილოცებ.

## ଓଡ଼ିଆ ଲେଖକଙ୍କାରୀ

ვფიცავ, მანულო, შენს ნინდა სახელს,  
რომელიც არვის შეურცხვენია,  
რას გეტყვი ისეთს, რაც სხვას არ უთქვამს,  
შენი ნათელი შემომფენია.

შენ ჩემი ლექსის, ჩემი სიცოცხლის,  
ჩემი მუხლის და მკლავის ძალა ხარ.  
შენი მეზოვრე ვარ, შენი მებაღე,  
მე შენს ნაპიჯებს მივდევ მხარდამხარ.

a % C

კლდეზე თოვლი დევს, მზის სხივებით გამდნარი უხვად,  
და ფეხქავს გული, გაზაფხულზე ამღერებული,  
ლალი პირიმზე განაპულა მთის მყერდზე, ტურფა  
მოდის მაისი, ია-ვარდით დამშვენებული.

მწვანე სამოსი ალამაზებს ჭალაში მუხას, ტოტთა შრიალი ისმის მხოლოდ მღვიძარ ჩინართა, მზემ ჩააგუბა ცისფერ ყანწში ოქროს სხივები, გაიღიმა და ლურჯ ტაძარში გაუჩინარდა.

მოდენას

ବାବା ଶ୍ରୀପାଣିମୁଖ

მოიპარება ღამე ქურდულად,  
როგორც ყაჩალი შემოპარული,  
მკერძს ვარსკვლავები უნთია სანთლად,  
ვით მთის ყვავილნი შემოჯარული.  
მოიპარება და დაუნდობლად  
სინათლეს თავის მარწუხებს უჭერს  
და მთვარეს, ოქროსკულულებიანს,  
ლაუგარიზმი მძინარს,  
ლურჯ აკვანს ურწევს.

ତାଥିଲା ହୀନିଲାଶର,  
ତାଙ୍କେତି, ଲୁଣ୍ଠନେବୀଳ  
ଶ୍ରୀମତୀ ଶ୍ରୀମତୀ, X ପ୍ରକାଶ.



პირველკლასელი. გენადი ზურიძაშვილი  
წითელი წყარო, სოფ. ჭავარიძის  
საშუალო სკოლა, IV კლასი.

### ვაზის ტირილი

რქებშემოჭრილი, უწყინარი  
ტიროდა ფაზი,  
ტიროდა უხმოდ,  
ჭრილობიდან სდიოდა სისხლი;  
  
ცრემლები წყნარად ეცემოდნენ  
ფხვიერ მინაზე.  
იდგა მშვიდი დღე,  
შორს ფერდობზე  
მოჩანდა.

ლელა კოჩებავიძე,  
თბილისის მე-15 საშუალო სკოლა,  
VIII კლასი.

### გაზაფხული

აყვავდებიან იები,  
ლურჯ კაბას ნაზად გაშლიან  
და მზის სხივები თეთრ ღრუბლებს  
ცხვრის ფარასავით აშლიან.  
ჭადრები გაილვიძებენ,  
თვალს მოიფშვნეტენ შრიალით,  
იქ ნაკადული ჩაირბენს  
ლოდებზე ცერიალ-ცერიალით.  
ცამდე აინებს ალვის ხე  
და ღრუბლებს შეულიტინებს,  
ჭიამაიას სიზმრებში  
ნიავი შეუციცინებს.  
მოვდებიან ბალახებს  
ჭიანჭველების გუნდები,  
ხის ფესვებს შემორეცვევა  
მწვანე ხავერდის ხუნდები.  
გაზაფხულდება მალე და  
მზის დაგვაცხუნებს სხივები,  
თავს მოიწონებს მთა-ბარი  
ფერად ყვავილთა მძივებით.

მინდა ჩემს ცელქ დაიკო თამუნი-  
აზე მოგითხოთ.

თამუნიას ხშირად ედავებიან,  
ტუქსავენ, მაგრამ მაინც ცელქობს.  
შეჭამს მანდარინს, გაივლ-გამოივ-  
ლის და ქერქის წევნს შიგ თვალებ-  
ში მაწუწავს. მე მეწვის თვალები და  
საცემად გამოვეკიდები, მაგრამ ის  
ჯონს აიღებს და თავს იცავს. მერე  
ახალ საჟმაროს მოიგონებს...

ერთხელ საკერავი მანქანა გააფუ-  
ჭა. დედახემი ძალიან გაუჭარდა,  
ყურიც აუწია. თამუნიამ იტირა,  
იტირა და დალლილ ჩემს კალთაში  
ჩაეძინა.

### ყველაზე ეკათესი ღღე

გორაკზე პატარა სახლი იდგა.  
სახლს პატრიონი არ ჰყავდა. ეზოში  
მხოლოდ ერთი ძირი ვაშლი შრია-  
ლებდა.

ვუცეკროდი დალუმებულ ეზო-  
კარს და მისი სიმარტოვე მენანებო-  
რა.

ერთხელ მიხა პაპას ვუთხარი:  
ჩავიდეთ იმ მიტოვებულ ეზოში,  
ავჭრათ ვაშლს ტოტები, დავამყნოთ  
და ხეხილი გავმრავლოთ-მეტქი.

მიხო პაპა დამეთანხმა.

აღრე გაზაფხულზე ვაშლს პაწია  
ტოტები ავაჭერით მე და მიხო პაპამ  
და დავამყენით.

მოუთმენლად ველოდი ნამყენის  
გახარებას.

საუკუნიდან საუკუნემდე  
ეუვლით, ვპატროხობთ,  
ვლოცავთ და ვფიცავთ  
მტრების სმლებისგან გადახნულსა  
და საკუთარ სისხლით დანამულ მინას.  
რამდენი გვთელეს,  
დაგვწვეს, აგვაფეს,  
ვერკი შეგვირყვნეს  
რჯული და სული...  
ნეტავ თუ იყო ქვეყნად მეორე,  
სამშობლოვ ჩემო,  
შეზე ჯვარცმული?

პაპა გურგენიძე,  
თბილისის 161-ე საშუალო სკოლა,  
VIII კლასი.




მაცრემლებდა ტოტებდაჭრილი ხის  
ქერა, მტკიოდა ტოტის გადანჭერი,  
მაგრამ მაღე გადაჭრილ ადგილზე  
ახალმა ყლორტებმა ამოფეთქა.

ნამყენმა ვაშლებმაც გაიხარეს. ერ-  
თი წლის შემდეგ ეზოში მრავალი  
ნერგი აშრალდა. ახლა სახლი მარ-  
ტო არ იყო.

ხეებს შორის მე და მიხო პაპა  
ვტრიალებდით...

კახაგარ დემურაძე,  
თბილისის 159-ე საშუალო სკოლა,  
IV კლასი.



ვაჟხვი ფინჯინი. ასლან დავითაძე,  
შუალედის რაიონი, სხეფის 8-წლიანი  
სკოლა, V კლასი.

### სულელი თაგვის არაპი

სათაგურთან მივიდა  
ერთხელ ბრიყვი თაგუნა  
და რას ხედავს, — სათაგურში  
ფისუნია გაბრულა.  
გაიცინა თაგუნამ:  
მეგობარო კატაო,  
როგორ გქონდა გუშინნინ  
ჩემი შეჭმის მადაო!  
კატამ უთხრა ნაზი ხმით:  
— უტკბილესო ძამია,

სათაგური გამიღე,  
შენთვის არა მცალია.  
ოლონდ კარი გამიღე,  
ვუკიცავ ერთსა შვილსაო,  
პირს არ ვასლებ არასდროს  
შენს მოდგმას და ჯიშაო.  
შეცდა ჩვენი თაგუნა,  
გამოალო კარი,  
გამოვარდა ფისო და  
ნააგლივა თავი.  
ამ იგავის აზრია:  
ნუ ენდობი ავსა,  
თუნდაც შვილს იფიცებდეს,  
ან საკუთარ თავსა.

ნინო ლეონიძე,  
თბილისის 22-ე საშუალო სკოლა,  
VII კლასი.




აკლიკაცია. ელევი გაისაძი, 7 წლის.

### „აჭიური—ოცნების ჩალაპი“

საქართველოს პიონერთა XII რეს-  
პუბლიკურ გენერაციაზე პიღვე ერთ ინი-  
ციატიგას ჩამოარა საუცველი. 1959  
წელს საქართველოს პიონერები აპშ-  
ერეს ჩალაპი „აჭიური“ — პიონერშ-  
ლი ოცნების მხარე. ბორჯომის ხეობა-  
ში გაშლილ ამ გარილაც ზღაპრულ  
ჩალაპი პიონერთა VII რესპუბლიკუ-  
რი გენერაცია გაიმართა. და აი, აბლა-  
ხანს მსტაცება გიღიღო XII გენერაციაშ.  
გადაწყდა, პიონერშლი მოძრაობის  
„აჭიურის“ მდგავსაც გაიმართოს პი-  
ონერთა რესპუბლიკური თამაში „აჭი-  
ური“ — ოცნების ჩალაპი“, რომლის  
დევიზი იქნება „აჭიური“ აშშევას უვა-  
ლებელან“. ეს იქნება საქართველოს პიო-  
ნერთა წლილი პიონერულ ჩალაპ „აჭი-  
ურის“ აშშევაგაში, რომელიც ჩვენი პარ-  
ტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებით  
შედეგა ვერეს ხეობაში, თგილისში.

დახედეთ სეებას — ახეთი საზე ექნება  
პიონერულ ქალაქ „მზიურს“.

მინიშენები: 1 — „კარიბე“, 2 —  
დედათა და ბავშვთა პარკი, 3 — მოსწავლეთა  
და ახალგაზრდობის სასახლე, 4 — „კვა-  
ვილთა ხაშუარო“, 5 — სარიტუალო მო-  
დუანი „ლიმილის ბიჭები“, 6 — მომავალი  
საქალაქო პარკი, 7 — სახელმწიფო უნი-  
ვერსიტეტი, 8 — ბოტანიკური ბაღი, 9 — ზო-  
ომარენი, 10 — „წყალქვეშ ხაშუარო“, 11 —  
ტერმარენი, 12 — „თავისუფალი ღროსი ქალა-  
ქი“, 13 — დიდი ატრაქციონი, 14 — ატრა-  
ქციონი წყალშე, 15 — საბორეო ზღვა, 16 —  
„მზიურის“ ზღვა, 17 — დიდი სასწავლო  
ცენტრი, 18 — სპორტული ბირთვი, 19 —  
ატრაქციონი „დიდი გასეინჩება“, 20 — მო-  
ნასტერი ბეთანია, 21 — „რანჩი“, 22 — ბა-  
ვშვთა ხეერთაშორისო ბანაკი, 23 — ხაფა-  
ხო სასტუმრო „სოფელი“, 24 — პიონერთა  
ბანაკები, 25 — საბავშვო მატარებელი.



# მეტი და ყაზი

პიძახემი ალექსი მეცხვარეა. მეც ძალიან მიყვარს ცხვარი და მეცხვარეობა. როცა კი ძალა ალექსი შინ დაბრუნდება, ვესტუმრები ხოლმე და ვთხოვ, რამე მომიყვეს მწყემსების ცხოვრებიდან.

ერთხელ ძალა ალექსიმ მიამბო მგლისა და თავისი ერთგული ბებერი ძალის ყაზის შესახებ:

დღლააღრიან თოხლი მინდორზე გაშლილიყონ და ხარბად ძოვდა. ძალა ალექსი პატარი ბექობზე იჯდა. ქალაძები გაეხადა და ნამიანი ბალანთ დასველებულ წინდებს მზეზე აშრობდა. ყაზო კი მელიების სოროების ძებნას შორს გაეტყუებინა. უცბად თოხლების ერთი ნაწილი დაფრთხო. მობრუნდა ძალა ალექსი და რას ხედავს: მგელს დაუჭერია თოხლი და ზედ წასდგომის შესაჭმელად. ძალა ალექსის თოტით თან არა ჰქონდა და ქოხით გაქანებულა მგლისკენ. მგელს ზედ მოსული მწყემსი რომ დაუნახავს, შეშინებია და თოხლი გაუგდია, მაგრამ მერე ისევ დაუვლია თოხლისთვის პირი და გაქცეულა. მისდევს თურმე ძალა ალექსი ყვირილით, მაგრამ აბა რას გახდებოდა. ამ დროს ქოშინი გაუგდია და დაუნახავს, როგორ გარბოდა მგლისკენ ენაგადმოგდებული ყაზო. ყაზო დასწევია კიდეც და წინა თათებით ზედაც თახმობია მგელს. მაგ-

რამ ძალლს კბილები აღარ ჰქონია. და ვერაფერი დაუკლია მგლისთვის, მგელმა თოხლს პირი უშვა თურმე და სწრაფად გაიქცა. უკან ჩამოიტოვა დაორლილი, დაბერებული ყაზო. როცა დაწევის იმედი გადაწყვეტია, ყაზო იქვე ჩაცულებულა და გულსაკლავად აყმუვლებულა.

ზურაბ გარსევანიძე,  
ზემო ალვანის საშუალო სკოლა,  
II კლასი.

## სიკათოს გზით

ჩემთვის, მარტოდმარტო ვიქექები ჩეგნი ოჯახის ბიბლიოთეკაში. კალავ ვხვდები ნაცნობ-მეგობრებს, რომელთაც გზა გამიკვლიერს. ჭერვიწრო ბილიკებზე მარბენინეს, მრავალი მდინარე და ზღვა გადამაცურვინეს, მთები და ველები შემომატარეს და სიკეთის გზაზე დამაყენეს.

ეს რა წიგნია? — ყდა მოვაბრუნები. აა, „დონ-კიხოტი“: ესენი კიდევ — ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, პიუგო, ეგზიუპერი.

აი, ჩემი სათაყვანო გალაკტონი! სქელ, წითელყდიან წიგნს ვშლი და ხმამალლა ვკითხულობ: „როგორც ნისლის ნამქერი, ჩამავალ მზით ნაფერი..“ ბოლომდე ჩავდივარ



„წითელყდა“.  
ეპა  
აშუაზური,  
ა წლის.

და ახლა „მერის“ სტრიქონებს ვჩურჩულებ.

შემდეგ თანამედროვე პოეტების თარისთან მივდივარ. ხელში ვიღებ დილარ ივარდავს ლექსების პატარა კრებულს, ძალიან მომწონს „ჩანახატი“: „ბორკილგაყრილი ცხენი ღრუბლად კრთოდა მიხდორზე...“

ვამთავრებ კითხვას და წიგნს ისევ თავის ადგილას ვდევ. მერე სხვათა ლექსები, ნაცნობი სტრიფები. ვგრძნობ საოცარ სამარტის, სითბოს...

და ისევ ვიქექები ჩეგნს ბიბლიოთეკაში, ვეცერები ძვირფას მეგობრებს, რომელთაც შემაყვარეს სიკეთე, ადამიანი...

წეპრი ნადარაია,  
ზუგდიდის შე-ზ საშუალო სკოლა,  
VIII კლასი.

## გაზაფხული

გაიღვინა ბუნებამ,  
არემარე ირთვება,  
გაიღვიდეს იებმა  
და ხევბზე კვირტებმა.  
მზებ სიცილი დაწყო,  
ან კრიალდა ჩანჩქერი...  
გაცინებულ ბუნებას  
სიხარულით გავცერი.

პველი და პატარი თაბილისის მოზიდვაში.

ზვიად რატიანი,

თბილისის 140-ე საშუალო სკოლა,  
IV კლასი.



## ასაგვის პირას

მორბის არაგვი  
ცისფერი ქაფით,  
არაგვის პირას  
სკონებს ხალხი.  
არაყად დგანან  
მშალი მთები,  
ნამოწოლილან  
ლიმაზი ქვები;  
არაგვის პირას  
მტეუნვარე მზეა.  
უამაშობ, ვლალობ,  
კისისებ,  
უბები.

## ჩვავრობა

მივდივარ, ვშორდები  
ა ლამაზ მთებს,  
მიფრინავს მანქანა  
სოფლისაკენ,  
გაფურებ მთებს შუა  
ჩხლართულ გზებს,  
მიცინის ზემოდან  
ცხრათვალა მზე.  
ხები და ბაბუა  
მელინ დღეს.

ლელა გაჟავარიანი,  
თბილისის 149-ე საშუალო  
სკოლა, III კლასი.



განაკში. ირაკლი ლიასაშიძე, 11 წლის.

## ჩვი გაბუ

ვინ არ იცნობს კაკო ჯუღელს,  
მაღალსა და თეთრმიგანს,  
ბევრი ბავშვის აღმზრდელ  
მოხუცს —  
ხალისიანს, საქმიანს.

დამინახავს, — გამიღმებს,  
საალერსოს მეუბნება,  
მე ასეთი კარგი ბაბუ  
მეორე არ მეგულება.

ვითალი გარათაზვილი,  
ზესტაფონის რაიონი, შეორე  
სვირის საშუალო სკოლა,  
III კლასი.

## დღეს სულ სხვა ხარ

რა ლამბზი დილა არის,  
მზე ანათებს რა ძლიერი.  
საქართველოვ, დაილოცოს  
შენი იმერ-ამიერი.  
დღეს სულ სხვა ხარ,  
სულ სხვა ფერის,  
ჰყვავის შენი მთა და მდელო;  
საბჭოეთის ძმურ იჯახში  
ალორძინდი, საქართველოვ!  
სიხარული გიდგის გულში,  
თავს დაგხარის მზე და მთვარე.  
კომუნიზმის მშენებელო  
საქართველოვ, გაიხარე!

ნინო ცერცვაძე,  
მახარაძის რაიონის თხინვალის  
საშუალო სკოლა, X კლასი.



სახავი. ხაალ გარუაზვილი,  
ექვილის 1-ლი საშუალო სკოლა,  
II კლასი.

## როდესას ვისან...

როდესაც „მთვარის სონატას“  
ვისმენ, ჩემს წარმოსახვაში ასეთი  
სურათი იხატება:

უზარმაზარ, გაჩახჩახებულ დარ-  
ბაზში დირიუორის პულტან დგას  
მუსიკის მეფე ბეთჰოვენი.

ხელში ჯადოსნური წკირი უჭი-  
რეს. ამ წკირით დირიუორობს სიმ-  
ფონიურ ორკესტრს.

დაბაზი გასუსულია.

ეღრძის ჰანგები...

მსმენელები აღთროვანებისაგან  
ცრემლმორეული თვალებით მისჩე-  
რებიან ღმერთებაც.

ბეთჰოვენის მზერაში შთაგონების  
ცეცხლი გიზგიზებს.

აი, მუსიკა ნელ-ნელა სადღაც მიი-  
პარება თითქოს, ბოლოს სულაც  
უჩინარდება...

ერთ ხანს კველა გახევებულია.

და უცებ: ტაში, აღტაცების შეძა-  
ხილები, სიხარულიანი ტირილი.


ყვავილები, ისევ ყვავილები...

ბეთჰოვენი გრძნობს, რომ მისი  
სონატა ხალხმა იშვილა.

იგი ბედნიერია.

ზოგვერ კი, „მთვარის სონატას“  
რომ ვისმენ, ვხედავ: ბეთჰოვენი  
მთვარეზე დგას თვისი ჯადოსნური  
წკირით და მთელი დედამიწა, მთე-  
ლი სამყარო იულინთება ღვთაებრი-  
ვი ჰანგებით.

ია პილლაზვილი,  
თბილისის 101-ე საშუალო სკოლა,  
IX კლასი.



კოსმოსი. დათო გურიაშვილი, 9 წლის.

ცაცხვის ფოთლებში  
აშარიშურდა ანცი ნიავი,  
ხელი მოპევია ღამეს ფრთხილად  
და... ჩაეძინა.

ტყიდან მოისმის  
მორაკაკე წყაროს ჩხრიალი,  
გულ-მჟერდს უგრილებს  
მიწას მადლაბაზს.

თვალში ჩამცერის  
შორეული ქრთი ვარსკვლავი,  
ასე მგონია,  
საიდუმლოს განდობა უნდა.

ია პოზუა,  
თბილისის 30-ე საშუალო სკოლა,  
X კლასი.

### საპითხავია განა?

როგორ ლივლივებს ლურჯი ზღვა,  
როგორ შირიალებს ჭალა...  
რად გიყვარს საქართველოო, —  
საკითხავია განა?

პურის ყანები ღელავენ,  
მთები ამაყად დგანან...  
რად გიყვარს საქართველოო, —  
საკითხავია განა?

ინგა ღემოტრაზვილი,  
თბილისის 149-ე საშუალო სკოლა,  
VI კლასი.

გაზაფხული.

ლევან ჯანგირაზვილი, 12 წლის.

### ზღვა

უთავგბოლოდ წრიალებენ ტალღები;  
ზღვა მღვრიერა,  
დღე კი არის მზიანი.  
ერთ დროს მშვიდი  
და ღამაზი ჩემი ზღვა  
დღეს მიუურებს  
მთვრალი და კუზიანი.

ია ხასაია,  
ზუგდიდის მე-2 საშუალო სკოლა,  
VIII კლასი.

### გთვარი

ის, ჩემი ღამის მესაიდუმლე,  
კულავ გასრიალდა  
ზეცის ლურჯ ბროლზე.  
უცებ შევნიშნე  
სარკმელთან მდგარი ბებიაჩემი  
და გავიგონე ჩურჩული მისი:  
— თუთა ახალი,  
ღორონთი, სი გუმახარი!\*

\*) მთვარევ ახალო,  
ამერთო, შენ გამახარე.

კაპათა ხასაია,  
ზუგდიდის მე-2 საშუალო სკოლა,  
VII კლასი.

### ვაშა-ფშაველა

დუმდა წიფელი,  
ხმელი წიფელი,  
მისი წუხილი არვის ესმოდა,  
გარდა ვაჟასი.  
ვაჟას ესმოდა ყველას ტკივილი,  
ყველა სატკივარს ინანილებდა.  
ნეტავ, მეორე ვაჟა-ფშაველა  
როდისმე კიდევ მოგვევლინება?

ინგა თბარელიზვილი,  
თბილისის 48-ე საშუალო სკოლა,  
X კლასი.

ცა ჩამუქდა, მოიღრუბლა,  
ცივი ქარი ქრის.  
ზეცამ პირი მოიხსნა და  
თოვლის ფანტელს ყრის.

პარაზინა ჩიტუნია  
ფანჯარისთან ზის,  
მობუზულა საცოდავი,  
სიცივისგან თრთის,  
საკენჭს ხარბად შეეჭვა,  
თან შიშისგან კრთის.

მარინა გრძელია,  
ესპის მე-2 საშუალო სკოლა,  
V კლასი.

### წ ვ ი მ ს

მე კი ოცნებას სადღაც მივყავ  
წვიმა არ წყდება

და არც ოცნება მტოვებს მარტ  
დღეს მეგობარმა მითხრა:  
„წვიმა და ოცნება უსასრულოი

მხოლოდ დროებით იციან  
მიმაღლ

იქნება მართლაც ასეა?  
ვინ იცის...  
წვიმს.

მე კი ოცნებას სადღაც მივყავ

მარინა სიჩილაზვი  
თელავის მე-4 საშუალო სკოლა,  
I კლასი.



## მერჩის ჩივილი

ულრან ტყეში უცხოვრობდი ჩემს  
მეგობარ ხეებთან ერთად. ვერც ზამ-  
თარი მაყენებდა ზიანს და ვერც  
ზაფხული. მხოლოდ შემოღომაზე  
მციონდა ფოთლები და ვიძინებდი  
ხანგრძლივი ძილით. გაზაფხულზე,  
მიწა მუხლში წყალს რომ ჩიშიღგმ-  
და, კვირტებს დაებერაედი, მზისენ  
გავიწევდი.

ერთხელ მომადგნენ, მომჭრეს,  
დამაქუცმაცეს, ჯერ ტივად შემჭრეს,  
მდინარით დამაცურეს, მერე მატა-  
რებლის სატვირთო ვაგონით დიდ-  
ხანს მარახრახეს. ფაბრიკაში გამაშა-  
ლაშინეს, გამალამაზეს, შერხად მაქ-  
ციეს, შემლებეს და საკლასო ოთახში  
მომათვესეს. ვიდრე სკოლის ზარი  
აწერიალდებოდა, ვერ ვისვენებდი.  
მაგრამ როცა მესაჭელასელები შე-  
მოვიდოდნენ და შემძმასკუბდებოდნ-  
ენ, უჯრებს წიგნებით და რვეულე-  
ბით ამისებრენენ, შეებას ვგრძნობ-  
დი, ხალისი მიბრუნდებოდა.

გავიდა დოო.

გადამავიწყდა კიდეც ჩემი წარ-  
სული ცხოვრება, ულრანი ტყის მე-  
გობრება; თუმცა ჩემი კარგად ყოფნა  
დროებითი გამოდგა. ერთხელ ერთი  
მოსწავლე ბიჭი ყველაზე აღრე მო-  
ვიდა სკოლაში. ჩანთა გახსნა, მე-  
გონა, წიგნს ან რვეულს ამოიღებდა  
და გაევეთილებს გაიმეორებდა...  
მოვტყუვდი. ჩიბიდან უანგიანი, ტარ-  
მოძრვეული დანა აძლილო და კურ-  
კრა, ჩენლეტა. გლეხა დაშიწყო...  
მერე მელაზიც გადამახახა.

გული ძეტება... რატომ მომექუა  
ასე ეს ბიჭი, მაინც რა დავუშავე?

მირიან ჯანიაზვილი,

თბილისის 51-ე საზუალო სკოლა.

III კლასი.

## სოფლისაკან


მატარებლით მივიჩქარი, მივძრი,  
თვალს იტაცებს მთა, მინდორი,  
კლდე...  
ზაფხულია, ნავარდობენ  
მერცხლები,  
თეთრი ნისლი ეფინება ტყეს.

ბეპიკოსთან ჩავალ, გადავეხვევი,  
ბაბუასაც ჩამოვარომევ ხელს,  
გავახარებ ფინიას და ბოჩოლას,  
სალამს ვეტყვი ჩვენი ჯაშლის ხეს.

მარიან აოჩლაძე.  
თბილისის 170-ე საზუალო სკოლა.  
III კლასი.

კვალი თაილისი.

აახა ჯიშაარიანი, 11 წლის.



მ ა მ ს ი

მასია — ვარდობის თვე,  
კაშკაშა მზე აფრევევს სხივებს.  
ნამი აგებს ოქროს ძაფზე  
თვალისმომჭრელ ვერცხლის  
მძივებს.

კისკისებრნ პატარები,  
პირზე ლიმილს ვარდად შლიან.  
და უსმენენ გატაცებით  
ჭაღრის თოთო ფოთლის შრიალს.


გადონა კლარიაზვილი,

თბილისის 149-ე საზუალო სკოლა,

VI კლასი.

კვალი და ახალი თბილისი.

თამარა გოჩიაზვილი, 9 წლის.



**ჩეუნი**  
**გაერთიანებული**

ჯერ პატარა ვარ,

მტრედის ხუნდი ვარ,  
მაგრამ სულ მალე მტრედად ვიქცევი,  
ცის სილურჯეში გავინავარდებ,  
შევიტუმბლები თეთრი ფიქრებით.

ჯერ პატარა ვარ,  
მჯერა, სულ მალე  
ჩემი ოცნებაც გაიმაისებს,  
ნატვრის პეპელა გაინავარდებს  
და მაისებით უბეს ამიცსებს.

მარიან ჯუაზვილი,  
დუშეთი, ლაფანანთიარი  
საზუალო სკოლა. VIII კლასი.

საორიზ  
გამუშავის ეროვნული დღე  
ცხრილი

როცა უურნალ „პიონერის“ რედ-  
აქციამ გადაწყვიტა ნარკვევი და-  
ებეჭდა თბილისის რომელიმე სპე-  
ციალიზებულ საფეხბურთო სკოლა-  
ზე, არჩევანი ავტორს მიანდო: რო-  
მელ სკოლასაც მეტი დამსახურება  
აქვს, ის შეიგულეო.

მე, მართალი გითხრათ, ბევრი  
ფიქრი და წილადობილა არ დამჭირ-  
ვებია. ან რა საჭირო იყო — უმაღ-  
ლესი კლასის ოსტატ ფეხბურთელთა



ბიჭიქ  
ქორქია,  
საქართველოს სსრ  
დამსახურებული  
უურნალისტი

აღზრდის ნამდვილი ქერა ჩვენში,  
უდავოდ, არის თბილისის განათლე-  
ბის სამმართველოს ოლიმპიური ჩე-  
ზერვების მომზადების სპეციალიზე-  
ბული საფეხბურთო სკოლა, უწინ  
რომ უბრალოდ ვეძახდით ვაჟთა 35-ე  
საშუალო სკოლას (ახლა მას „განათ-  
ლება“ ეწოდება).

ვაჟთა 35-ე სკოლა!

ვინ მოთვლის, რამდენი სასიკეთო  
რამ გაუკეთებია მას ქართული ფეხ-  
ბურთის გამოჩენილ ოსტატთა აღზრ-  
დის საქმეში, რამდენი სახელმოხვე-  
ჭილი მოთამაშისათვის დაულიცავს  
გზა საკუთხირო და საერთაშორისო  
საბიელზე, რა სიყვარულით და  
გულმოდგინებით უმუშავია, რათა

ბუნებრივი ნიჭით უხვად დაჯილ-  
დოებული ჭაბუქისთვის სწორი და  
უტყუარი, შეუყდომელი გეზი მიეცა  
იმ დიდი და ძალიან ძნელი ცხოვრე-  
ბისათვის, რომელსაც ფეხბურთი  
ეწოდება.

თბილისის ვაჟთა 35-ე სკოლა! არ-  
ჩევანი რად მინდოდა, რედაქციის  
დავალების შესასრულებლად უმალ-  
ვე მას მივაშურე. მივაბიჯებ მის ვიწ-  
რო დერეფანში, აქეთ-იქით ვიყურე-  
ბი, საფეხბურთო ფორმაში მოფუს-  
ფუსე ბავშვებს ვათვალიერებ და  
გუნებაში ვფიქრობ: აბა, რომელია  
აქ მომავალი მესხი, იამანიძე, ჭავა-  
სელი, კოტრიკაძე, კალოევი, ჩივაძე,  
ყიფიანი...

რას ამოიცნობ!.. სანამ ეს თვალებ-  
ბრიალა, ცევიტი ბიჭუნა მესხი დად-  
გებოდეს, ათასგვარი ფათერაკით და  
მძიმე გამოცდით, შრომითა და ოფ-

ლით, ბრძოლითა და შეუპოვრობით  
საესე გზა უნდა განვლოს.

განა ადვილია ბურთის მოტრფია-  
ლე ყრმა უზადო ბრილიანტად აქ-  
ციო? ათას ხელში უნდა გაიაროს  
მან, ათას ქურისა და ცეცხლში უნდა  
გამოიწროთოს!

მივაბიჯებ დერეფანში და წინას-  
წარ ვიცი, ვისაც უნდა შევხვდე: ამ  
სკოლის ღვაწლმოსილ ვეტერანს,  
საქართველოს დამსახურებულ მას-  
წავლებელს, დამსახურებულ მწვრთ-  
ნელს შოთა ნოშრევანის ძე მერკ-  
ვილაძეს.

ეს კაცია ამ სკოლის ერთ-ერთი  
ორგანიზატორი, მისი ავან-ჩვენი,  
მისი მემატიანე. ვისაც 35-ე სკოლა  
დაუმთავრებია (აი, მაგალითად, ჩვე-  
ნი სასიქადულო ხელოვანი, ლიდი  
მოქანდაკე, ლენინური პრემიის ლაუ-  
რეატი მერაბ ბერძენიშვილი), დღე-

— ჯანერთელობას არ ვუჩინო





**გული გადადა საპარჯიშოდ. ცოტაც  
და...**

საც მადლიერების გრძნობით იხსენებს შოთა მერკვილაძეს, მისი სახელის გამოწებაზე ღიმილი გადაფინება ხოლმე სახეზე.

— ოო, ფიზრუქი? დიდებული ადამიანია!

მაშინ „ფიზრუქს“ ეძახდნენ უ. მერკვილაძეს.

ჩვენ დევლთაძველი მეგობრები ვართ. პირველი სალამ-ქალამის შემ-



სორი უახართელები ეჭიშვილი და-  
გულდაგულო ზედამხადველობის ქადა-  
გიშოვებიანია.

დედ პირდაპირ საქმეზე გადავდი-  
ვართ:

— ვის ეკუთვნოდა საფეხბურთო  
საშუალო სკოლის შექმნის იდეა, ვინ  
იყო ამ საშვილიშვილო საქმის სუ-  
ლისჩამდგმელი?

შ. მერკვილაძე წამით ჩაფიქრდა.

— სკოლის შექმნის იდეა ცხოვრე-  
ბამ გვიარნახა. ომი ახალი დამთავ-  
რებული იყო, ცხოვრებას თავიდან  
ვიწყებდით, ბავშვებს სპორტული  
წრთობა ესაჭიროებოდათ. ვინ? ვინ  
და მაშინდელმა განათლების მინისტ-  
რმა, აკადემიკოსმა ვიქტორ კუპრაძემ,  
თბილისის განათლების განცოდილე-  
ბის გამგემ ბესარიონ კიზირიამ, ბავშ-  
ვთა ფიზიკური აღზრდის დიდმა მო-  
წირნანულები, სპორტის დამსახურე-

თავით თამაში რთული რეპირატი-  
ლებითა.

ბულმა ოსტატმა გიორგი მერკვილა-  
ძემ. თანაც, ნუ დაგავიწყდებათ, ამ  
სკოლას არ ჰყოლია წინამორბედი,  
პრეცედენტი. იგი სრულიად ახალი  
ტიპის, ორიგინალური სასწავლებელი  
იყო. კარგად მახსოვს ფიზმზადე-  
ბის პირველი გაკვეთილი ამ სკოლა-  
ში. 1945 წლის 20 ნოემბერი. ჩემს  
წინ მოუთმენელი, მშფოთვარე ბავშ-  
ვების მწვრთვი იდგა: ალავიძე, ქა-  
ლოვანი, გორგაძე, გაიხარაშვილი, ნი-  
კურაძე, მელაშვილი, ჭრელაშვილი,  
აბესაძე, ჭელიძე, ამირეჯიბი, შარა-  
შენიძე, კილაძე, ბარათაშვილი, კი-  
ციშვილი, ფაცურია, ტაბიძე, ბერებ-  
იშვილი... მაშინ დავიწყეთ ეს საქმე.

შ. მერკვილაძე მცირე ხნით ყოვნ-  
დება:


— წარმოიდგინეთ, ეს იყო 1945  
წლის 20 ნოემბერს. 35 წელზე მეტი  
გავიდა. ჩემს აღზრდილებს კი ახლა  
დაბადების 50 წელს უხდია...

მართლაც, როგორ გადის დრო.  
ესხედვართ ორი, ვეურლავათ მო-  
გონების წიგნს, ფანჯარაში კი ბავშ-  
ვების ყიუინა და ბურთის ხმა ისმის.

მე ისევ იმ ბიჭუნებისკენ მაქვს  
თვალი, იქნებ გამოვიცნო მომავალი  
მიშვ მესხი?

რას გამოიცნობ! ამას გამოცდილი  
აღმზრდელის უტყუარი თვალი და  
გუმანი უნდა.

ფიქრი შემატებ შოთაშ და თითით



305 შოთა შოთა, 306 უზრო ზუსტად...

შაჩვენა: — ეგერ იმ შავთმიანს ხომ  
ხედავ, ნახე, რა იქნება?

ვერაფერიც ვერ შევატყვე. ჩვეუ-  
ლებრივი ონავრი ბავშვი იყო. მე  
ვერ შევატყვე, „ფიზრუქი“ კი ვცე-  
ლაფერს ხედავს, ყველაფერი იცის.

სრულდაქციონ დავალება მახსენდე-  
ბა:

— ჩამოთვალეთ სკოლაში აღზრ-  
დილი გამოჩენილი ფეხბურთელები.

— სპორტის დამსახურებული ოს-  
ტატები შოთა იამანიძე, მიშა მესხი,  
ზურ კალოვანი, სერგო კოტრიკაძე,  
ოსტატები — ალიოშა კოტრიკაძე,

ავთანდილ ჭეუასელი, არჩილ გელაშვილი  
ძე, ედუარდ თორაძე, ვასილ გაბაშვილი  
ვი, მოსე დავარაშვილი, ლევან ურ-  
დანია, დავით ხუნდაძე, ავთანდილ  
ხელაძე, კახი ასათიანი... ვინ მოთვ-  
ლის.

— ახლა ვინაა მწყობრში?

— მანუჩარ და გოჩა მაჩაიძეები,  
დავით ყიფიანი, ალექსანდრე ჩივაძე,  
ნუგზარ ჯაილაშვილი, ილია რუხაძე,  
ტარიელ ღურდიაძე, ლევან მელიქია,  
მერაბ უორდანია, ამირან ანდლულა-  
ძე. დიმიტრი კუდინივი, ოთარ  
კორლალიძე, კარლო ნიკოლაიშვი-  
ლი... თუ ადგილი გეყოფათ ეურ-  
ნალში, კიდევ დაგისახელებთ.

შემდეგ შ. მერკვილაძე ეშმაკუ-  
რად იღიმება:

— იცით, მე შედგენილი მაქვს  
35-ე სკოლის ყველა ღრის ნაკრები  
და, რომ შეიძლებოდეს ამ გუნდის  
ერთიანად გამოყვანა, რომელიც  
გნებავთ უცხოურ განთქმულ პრო-  
ფესიულ გუნდს შევაჯიბრებდი: კოტ-  
რიკაძე, გ. მაჩაიძე, ჩივაძე, თორაძე,  
მ. მაჩაიძე, იამანიძე, ყიფიანი, ასა-  
თიანი, ჭეუასელი, კალოევი, მესხი.

აბა, რა მეტქმოდა, ექსტრაგუნდი!  
სკოლის დარსების დღიდან უფ-  
როს მწვრთნელებად მუშაობდნენ  
გამოცდილი სპეციალისტები: ა. გალ-  
ვერიანი, დ. ცომია, ნ. ჩხატარაშვილი,  
გ. ჭაველავა, ა. კიქნაძე, მ. მინაევი,



ჩარა, საჩა, დონ არ ითავს...

ქ. ს. შარაშენიძე, გ. ბუაძე, ზ. იობა-  
შვილი, ვ. მელაშვილი, მ. ანთიძე, გ.  
პატრაშვილი და სხვები:

ვაკთა 35-ე სკოლამ თავისი ვალი  
მოიხადა ქართული ფეხბურთის წი-  
ნაშვე.

1955 წელს მოხდა სკოლის რეორ-  
განიზაცია. თბილისის ვანათლების  
განყოფილებასთან შეექმნა სპეცია-  
ლიზებული საფეხბურთო სპორტ-  
სკოლა, რომელიც შემდგომში ოლიმ-  
პიური რეზერვების მოსამზადებელ  
სკოლად იქცა. თუ უშინ აյ 200 ბავ-  
შვი იყო იყო გაერთიანებული, ახლა თა-  
რატობის ამაღლების ცილს გადის  
1300 მოსწავლე, მათი კონტინგენტის  
მატებასთან. ერთად გაიზარდა  
მწვრთნელთა რაოდენობაც. სკოლა  
არსებითად მოიცავს შეულ თბილისს,  
მის ჰველა რაიონს, ყველა უბანს.  
კუნძის სახელწოდება — „განათლე-  
ბა“ დიდი ავტომოტორულ სარკებ-  
ლობს ყველგან. „განათლება“ იმარჯ-  
ებს საქალაქო, რესპუბლიკურ, ზო-  
ნალურ, საკუთრი შეჯიბრებებში,  
მის საუკეთესო მოთამაშეებშე მუ-  
დამ დიდი მოთხოვნილებაა საკუთრი-  
ო ნაკრები გუნდების ხელმძღვა-  
ნელთა მხრივ.

სულ ახლანან „განათლების“ სის-  
ტემით შეიქმნა ახალი სპეციალისები  
თბილისის მე-10, 22-ე, 29-ე, 48-ე,  
114-ე და 134-ე სკოლებში. ფეხ-  
ბურთულებს, ასაკის მიხედვით, აერ-  
თიანებენ ერთ კლასში. სპორტული  
წვრთხა დღეში ორჯერადია, ბავშვებს

აქვთ კვებავენ. ეს ჟველაფერი მათ  
აერთიანებს, ამჭიდროებს, ერთ  
მთლიან კოლექტივად ქმნის. ამ სპეც-  
კლასებში ბავშვები ნამდვილი საფეხ-  
ბურთო ძმები ხდებიან ხოლმე. პარა-  
ლელურად წყდება ორი სერიოზული  
ამოცანა: მოზარდთა საერთო გამა-  
ჯანასალებელი, სასარგებლო შეცადი-  
ნეობა სპორტით, და ტყავის ბურთის  
მაღალი კლასის ოსტატთა აღზრდა.  
ერთიც დიდად საჭირო საქმეა და  
მეორეც.

შ. მერკვილაძეს თავისი სადარდე-  
ბელიც აქვთ:

— ამდენი ხანია სკოლა ასებობს,  
ასეთი წარმატებები გვერნია, მაგ-  
რამ არ იქნა და დღემდე არ მოხერხ-  
და ჩვენი საკუთარი სტადიონის აშე-  
ნება. ბაზებს ვერიამდო მოელ ქა-  
ლაქში, ჩვენი, საკუთარი, ხელო არ-  
თერი გაგვიჩნია, სულ სხვისი შემყუ-  
რენი ვართ. რომ შეგვიძმნიდნებ  
ხელსაყრელ სამუშაო პირობებს, გა-  
მოგვიძებიდნენ ერთ ხერიან ბაზას  
შვევანებალანიანი მინდვრით, სათავ-  
სებით, საქმეს კიდევ უფრო უვა-  
მოევლებოდა. ჩვენ ახლაც გვჩავს  
სხვადასხვა ასაკის პერსპექტიული,  
ნიჭიერი მოთამაშეები: დ. უგრელი-  
ძე, თ. მურიკელი; დ. თანდაშვილი,  
მ. ბერაია, თ. ბარათაშვილი, გ. ჩიქ-  
ვილაძე, ა. მშევრიძებაძე, ა. წიელაუ-  
რი, გ. ერაძე; რესპუბლიკის სწავლა-  
სხვა გუნდებში თამაშობებ ზ. კიად-  
რიშვილი, ს. სპირტლაძე, ზ. ბაქურა-  
ძე, ზ. ნიზანიშვილი, კამბიძე, გ. ეტ-  
დელაძე, ლ. თორაძე, ტ. და ა. კამან-  
ძეები, ტ. კანდელაძე და სხვანი.

ჩემი აზრით, ნამდვილი ფეხბურ-  
თელის ფორმირებას 10 წელი უნდა.  
ამიტომა, რომ ჩვენი სკოლა, გარკ-

ვეული თანამიმდევრობით, ყველაზე  
ათწლეულის ბოლოს იძლევა ნორმები  
მაღალი კლასის ფეხბურთელების.

ამას გარდა, თბილისში რამდენიმე  
საბავშვო საფეხბურთო სპეციალი-  
ზებული სპორტსკოლაა, ყველგან  
წარმოებს მუშაობა, ყველგან იზრ-  
დებიან ტალანტები, მაგრამ არა  
გვაქვს ერთი კონკრეტურებული  
ბაზა, სადაც ამ ტალანტებს, რა თქმა  
უნდა, გარკვეული ასაკის მიღწევი-  
სას, ერთად მოუყრინა თავს და, რო-  
გორც იტყვიან, უმაღლეს ღონებე  
ავარჯიშებენ. ასეთი ანალოგია წარ-  
სულ წლებში გვქონდა, როცა თბი-  
ლისის ახალგაზრდულ საფეხბურთო  
სკოლას ხელმძღვანელობდა ჩვენი  
ფეხბურთოს პატრიოტი ანდრო ეკრ-  
ინია. ამ სკოლის აღზრდილი შესა-  
ნიშვნავი ფეხბურთელებით დიდი ხა-  
ნი სულდგურობდა თბილისის „დი-  
ნამონ“. ასე უნდა გავაეკორო ახლაც.  
გვიანი არასოდეს ამ არის.

...ფანჯრიდან კვლავ ისმის ბავშვე-  
ბის ყუინა, ბურთის ჩხა. უცუკურებ  
პატარებს და ცედილობ ამოვიცნ, მიეცედე, რომელია მათგან მომავალი  
მიშა მესხი.

ვერ გამოვიცანი. ამას გამოცდილი  
აღმზრდელის უტყუარი თვალი და  
კუმანი უნდა.

ა. სწორედ ამას აეთებენ თბილი-  
სის ვანათლების სამართველოს  
ოლიმპიური რეზერვების სპეციალი-  
ზებული საფეხბურთო სკოლის  
მწერთნელ-აღმზრდელები.

მათ სწორედ ის უტყუარი თვალი  
და კუმანი აქვთ.

უზო ა. კოტორაზვილიშვილი



ცორები გულისეული უსახელო თა-  
ვისათვალი აღმზრდება, საკარითველოს სახ-  
დამასახურება მცველობა უსახელო თა-  
ვის გააღმართოს.



სორის კონფერენცია შედებალი № 6

## ძვირფასო რედაქცია!

თუ შეიძლება, მე მინდა პირადად  
ცირას მივმართო:

ცირა, მომისმინე, მე შენი უფრო-  
სი მეგობარი ვარ და ჩასაც გეტყვი,  
ნუ გეწყინება. მეც ვიყავი შენი ტო-  
ლი, ვიყავი მოსწავლე, პიონერი, მაგ-  
რამ არასოდეს დამცდენია ბაგეთაგან —  
ესა და ეს (ვგულისხმობ ძვირ-  
ფასეულს) მიყიდეთ-მეტჭი. არ დამც-  
დენია და არც ახლა დამცდება, მიუ-  
ხედავად იმისა, რომ 21 წლისა ვარ,  
საშუალო სკოლა დავამთავრე და  
ვმუშაობ კიდეც.

არასოდეს, ცირა, ჩემი მშობლები-  
სთვის განსაკუთრებული არაფერი  
მითხვია (მე მამაც მყავს), ისინი  
თავად მიგვიძლოდნენ ჩვენ მომავ-  
ლისაკენ და ცდილობდნენ, კარგი მა-  
მულიშვილი, სამშობლოს კეთილ-  
დღეობისთვის მზრუნავი შვილები  
გავეზარდეთ.

ჩვენ არაფერი დაგველებია სწავ-  
ლის ჰერიონში და არც ახლა გვაქ-  
ლია, მიუხედავად „გინსების“ და  
„ველვეტების“ უქონლობისა.

დიდმა ფილოსოფოსმა ჰეგელმა  
თქვა: „მისდიო მოდის — სისულე-  
ლეა, ჩამორჩე — სასაცილოა“. და-  
ხაც უნდა იყო თანამედროვე! უნდა  
იყო ჩატარაც, სწავლითაც, შრომი-  
თაც! დროს უნდა მიჰყვე და არ უნ-  
და ჩამორჩე გას. ამაში არაფერია  
ცუდი. სიყონტავესა და სადად, მო-  
დაზე ჩატარა რა ჯობს, მაგრამ „ველ-  
ვეტებისა“ და სხვა რამ ძვირფასიანი  
სამკულების გარეშეც შეიძლება  
მოდის არ ჩამორჩე.

ბევრ ახალგაზრდას დღეს, მათ  
ენაზე რომ ვთქვათ, „შმოტკების“ აც-  
ვია. მაგრამ ამან თვალი არ უნდა  
დაგიბრმავოს და არ უნდა აიძულო  
მშობელი დედა, რომგლიც დღემუ-  
სამ შენზე ფიქრობს, რომელსაც  
შენზე ამოსდის მშე და მთვარე,  
წელზე ფეხი დაიდგას და შენი ახი-

რებული სურვილი შეასრულოს.  
უცელაზე მეტად რომ უყვარხარ, ამით  
უნდა ისარგებლო? სცდები, ცირა,  
შენ უკვე პატარა აღარა ხარ, მიმოიხედე  
ირგვლივ, ჩაიხედე ცხოვ-  
ების სილრძეში, დაეხმარე დედას...  
გახსოვდეს (მით უმეტეს, მაგა აღარ  
გყავს): შემოსავალს არ უნდა აღ-  
ტებოდნებს გასავალი...

ამას მე წრფელი გულით გულენე-  
ბი, ცირა. მეგობრულად გებასაები  
ბარათით და გული ზუ დაგწყდება...  
და ბოლოს, პოეტ იონა ვაკელის  
სიტყვებსაც მოვიშველიებ:

„იყავი მუდამ უბრალო იხე, როგორც  
ამქვეუნად მინდვრის ყვავილი!“

დაუფიქრდი შენს ქცევას, იფიქრე  
მომავალზე. თქვენზე ზრუნვაში  
დალლილ დედას ამაგი გადაუხადე,  
თუნდაც მცირედით...

**ნონა ლათარია,**  
ბათუმის სავაგონო დეპოს ნიდური  
ამწეს მემანქანე, საქალაქო საბჭოს  
უკუთატა.

## პატივცემულო რედაქცია!

მინდა მეც გამოვეხმაურო თქვენს  
მიერ გამოქვეყნებულ ქუთაისელი  
გოგონას წერილს.

მოკლედ ვიტყვი: მთავარი დამნა-  
შავე ცირას დედა, შვილის აღზრ-  
დას რაღაც დაკლო. მას რომ თა-  
ვიდანე გაეცნო შვილისთვის ოჯა-  
ნის ბიუჯეტი და ყველაფერი აეხსნა,  
ბავშვი ასეთი არ იქნებოდა. ეტყობა,  
დედა პატარაობიდანვე უსრულებდა  
ყველა კაპრიზს და აი, რა შედეგი  
მოტანა ამან. თუკი ლალიმ შეამჩნია  
ცირას დედის დალლილი სახე და  
შეშუბებული თვალები, ნუთუ თვით  
შვილი ვერ ხედავდა? ასე როგორ  
დაბრმავა ნივთებმა? მე ვფიქრობ,  
ნამდვილ სიყვარულს ვერც დედა  
ამჟღავნებს და ვერც შვილი, დედას  
ბრძად უყვარს, შვილს კი ველვეტ-  
ჯინს-მაგნიტოფონში გაუცვლია შშო-  
ბელი დედის ჭანმრთელობა და სიყ-  
ვარული.

მე თვითონ სამი შვილის დედა ვარ.  
ორი მათგანი მოსწავლე აღარ არის, მაგრამ ახლაც კი არ და ვერ მომთხოვენ ისეთ ტანსაცმელს, რაც ჩვენს  
შესაძლებლობას აღემატება. ვყიდუ-  
ლობთ — რისი შეძლებაც გვაქვს.

იყითხავთ, როგორ მივაღწიე ამას? სრულიად უბრალოდ: მათ იციან  
ოჯახის შემოსავალი. ერთად ვანაწი-  
ლებთ, რა გვჭირდება, რა რისთვის  
გამოვიყენოთ... „ჩემთვის არაფერს  
შეურებს, სიცოცხლეც არ ენანება“, — მიტრიალებს თავში ცირას სიტყ-  
ვები. როგორ ფიქრობთ, სხვა დე-  
დებს გვენანება სიცოცხლე შვილე-  
ბისათვის? მაგრამ გააჩნია, რა შემ-  
თხვევაში. სწორად გამიგეთ: მე ჩემს  
ჯანმრთელობას შვილების ველვეტე-  
ბისა და ოქროს საყურებეჭდები-  
სათვის ვერ გავწირავ. სიცოცხლე და  
ჯანმრთელობა სხვა რამისათვის მჭირ-  
დება, მჭირდება იმისათვის, რომ ჩე-  
მი შვილები ნამდვილ ადამიანებად  
გავზარდო, ცხოვრების აღმართზე  
არ მივატოვო.

ჩემი წერილის დასასრულს მინდა  
საღად, ძალიან საღად მოაზროვნე,  
ეთილი პიონერი გოგონა ლალი  
დავლოცო დიდებული ვაჟას სიტყვე-  
ბით:

„კარგი გულითა გამდელი,  
ღმერთმ გიდლეგრძელოს გვარიო!“

**ნინო განაგლიშვილი,**  
მშობელი.

ახმერა, სოფ. ჭეშმ ალვანი.

## ზროვის ცაცი

წავიკითხეთ ლალი დ.-ს წერილი,  
რომელიც „აისში“ გამოქვეყნდა. წა-  
ვიკითხეთ და აგვალელვა წერილში  
შამოჭრილმა საკითხმა.

ჩვენც მეშვიდეკლასელები ვართ.  
ჩვენს გარშემოც არიან ისეთი მოს-  
წავლები, რომელიც ცირასავით  
ვერ ისვენებენ, ვიდრე შშობლები  
ქვირფას მოდუ! ტანსაცმელს არ  
უყიდან.

ცირა არ არის ნართალი. ჩვენი  
აზრით, მოსწავლეს მუდამ მოსწავ-  
ლის ფორმა უნდა ეცვას. აღბათ  
ზოგი იტყვის, ქვეყანა არ დაიქცევა,  
გოგომ თუ ბიჭმა ველვეტის ძირი-  
ფასი კოსტიუმი ჩაიცვასო, თქვენ  
ხომ არ გიყიდათო? პო, გართალია,  
დედამ უყიდა, მაგრამ რამდენი  
ენერგია, შრომა დახარჯა მან ამისა-  
თვის? აღბათ უამრავი. ცირა, ეტ-  
ყობა, კუდაბზიკა და ტრაბახაა.



ლალის წერილიდან ჩანს, რომ დედაც იძულებულია, ღამეები გაა-ირნოს კერვაში...  
დის სიყვარული და პატივისცემი. იგი წერილის ავტორს მიმართავს: „თავი გადავჭრ და რაღას იზამდა? გუშინ მომიტახა, როგორც იქნა!“ ცირა აღბათ არც ეხმარება დედას საოჯახო საქმეებში და არც იცის შრომის ფასი. ის ძვირფასი იაპონური მაგნიტოფონი ცირას დაუინებული თხოვნით იყიდა აღბათ მისმა დედამ.

ახლა შენ მოგმართავთ, ლალი! შენ ამბობ: „გავიფიქრე, აღბათ, ცირას დედა მაღალხელფასიანია და ამიტომაც ასე აცმევს-შეთქი, და საკუთარ, მოსწავლის კაბაზე დავისვი ხელიო“. შენ აღბათ უხერხელად იგრძენი თავი და შეგრცხვა, რომ შენც არ გეცვა „ველვეტი“. მაგრამ შენ ხომ იცი, რომ ადამიანი ტან-საცმლით არ ფასდება?! იცი, ცირას სანამდე მიიყვანს ასეთი ჩაცმა? ჯერ VII კლასშია, როცა გაიზრდება, მაშინ რაღას იზამს?

კარგი იყო, ეს საკითხი რაზმის ან რაზმეულის შეკრებაზე გაგეტანათ განსახილველად და ცირა გაგეკრიტიკებინათ.

გვისებ გაიკაზვილი,  
თავარ ხელაზვილი,  
გურჯაანი, კარდანახის საშუალო სკოლა,  
VII კლასი.

## თვითონ გაპიცხავს

თვალს ვადევნებთ ჟურნალ „პიონერში“ დაბეჭდილ წერილებს. ლალის წერილი ძალიან სამართლოანია და მოვცეშონა, რომ მან ასეთ მნიშვნელოვნო საკითხს მიაქცია ყურადღება.

გართლაც, 13-14 წლის გოგონას უცვე უნდა ჰქონდეს საოჯახო წარმონადგენა ცხოვრების საკანძო საკითხებზე, კერძოდ — საოჯახო საკითხზე. ცირას მამა არ ჰყოლია, დედა კი ძალონებს არ იშურებს, რომ ოჯახს არაფერი მოაკლოს. ეს ასეც უნდა იყოს, დედა მოვალეა, რომ იზრუნოს შვილებზე და შეუმსუბუქოს მათ უმამბის სიმძიმე, მაგრამ ცირა, ჩანს, დედის ამაგს ვერ აფასებს, მისგან შესაძლებელზე მეტს მოითხოვს და სავსებით სამართლიანია. ჩვენს დრო-

დედაც იძულებულია, ღამეები გაა-ირნოს კერვაში...

ნუთუ ცირა ვერ ხედავს დედის შრომას? ან რა ფასი აქვს იმ ძვირფას ნივთებს, რომლებიც დედის უძილო ლამეების საზრულით არის შეძენილი? ახლა ცირა იმ ტანისა-მოსში თბილად გრძნობს თავს, მაგრამ როცა გონის მოვა, იქნებ შესახე-დავადაც შესძლდეს კიდეც თავისი უცხოური ტანსაცმელი, თვითონვე გაჰკიცხოს საკუთარი თავი.

შცხთა, სოფ. დელი ქანდის  
საშუალო სკოლის VII კლასის  
მოსწავლები.

## არ ვეთანხმებით

მართალი გითხრათ, ბევრი არ გვიყოყმანია და უცბად გადავწყვიტეთ თქვენთვის გაგვეზიარებინა ჩვენი აზრი. ჩვენ არ ვეთანხმებით ლალი და შეხედულებას.

აღბათ ცირას დედას აქვს იმდენი საშუალება, რომ შვილს სხვაზე უკეთესად ჩააცის, არ უნდა, რომ თავის ქალიშვილს უმამობა აგრძნობინოს. არ იყო საჭირო, რომ ლალის ეს ამბავი გაეზვიადებინა, თუ ის ნამდვილი მეგობარია ცირასი. როდესაც ჩვენ წავიკითხეთ უურნალ „პიონერის“ პირველი ნომერი, ვიფიქრეთ, რომ არ იყო საჭირო ლალის დაწერა, ჩემს ამხანაგს იაპონური მაგნიტოფონი აქვსო. ცირას ველვეტის შარვალ-კოსტიუმი სკოლაში არ აცია და ოქროს საყურები სკოლაში არ უკეთია. ჩვენი აზრით, არ არის საჭირო, რომ ამხანაგმა ამხანაგი გააკრიტიკოს.

შევიდეკლასელები.  
ქ. რუსთავი.

## მე დედა ვარ...

ქუთაისელი გოგონას აღშფოთება სავსებით სამართლიანია. ჩვენს დრო-

ში, როცა ცხოვრების მატერიალური დონე ასე მაღალ საფეხურზეა, ჩვენი შვილებიც მეტად მომოხვნი გახდნენ. 13-14 წლის მოზარდებს, სამწუხაროდ, არ აინტერესებთ, საკმარისია თუ არა მათი ოჯახის შემოსავალი ძვირფასი ნივთების შესაძნად.

მშობლის მოვალეობაა სერიოზულად განუმარტოს ახალგაზრდას, რომ სადად, უბრალოდ ჩაცმული მოსწავლე მეტ სიმპათიას იმსახურებს, ვიდრე ზედმეტად მოდას აყოლილი, ძვირფას უცხოურ ტანსაცმელში გამოწყობილი მოზარდი.

ცირას დედა ცდება, მას უნდა, შვილს უმამობა არ აგრძნობინოს, არ იშურებს ენერგიას, რათა ცეცლის ფასად ცირას ტანსაცმელი შეუძინოს. ჩემი აზრით, ოჯახში მამაც რომ იყოს და ორმაგი შემოსავალიც ჰქონდეთ, 13-14 წლის მოზარდისთვის ასეთი სურვილების შესრულება აშკარა დანაშაულია.

შვილის სიყვარული მის გადაჭარბებულ გამოპრანშევაში კი არ უნდა გამოიხატებოდეს, არამედ მის მორალურ და ზნეობრივ აღზრდაში. ის ხომ ჩვენი ქვეყნის მოქალაქეა, ჩვენი მომავლის მშენებელი, ხალხისა და სამშობლოს მსახური.

შეიძლება, არ უნდა ვეხებოდე სხეისი ოჯახის საქმეს, მაგრამ ეს საჭირობოროტი და მტკიცნეული საკითხია ყველა მშობლისათვის, მეც ხომ დედა ვარ სამი შვილია.

ეთერ ველიძე,  
დიახანლისი.  
მაიაკოვსკი, სოფ. წითელევევი.

დენიზა  
გოგულიშვილი,  
საქ. სხრ  
ალბანიზმის  
ფედერაციის  
პასუხისმგებელი  
მდივანი



# ტერმინული გვერდი და გვერდი

უკველ ზაფხულს მრავალი მოზარდი ისვენებს საქართველოს ერთერთ ულამაზეს ადგილას — ბორჯომის ხეობაში მდებარე პიონერთა ბანაკებში. გვინდა გავაცნოთ მათ ამ ხეობის ღირსშესანიშნაობანი.

ბორჯომის ხეობა ზემო ქართლის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მდებარეობს. იგი გარშემორტყმულია თორიალეთის ქედის განშტოებებით, რომელთა ფერდობები დაფარულია წიწვოვანი ტყით, თვალწარმტაცი ტბებით, მთის ნაკადულებითა და ჩანჩქერებით. ბუნების სიმშვენიერესთან ერთად ხუროთმოძღვრული ქედები და მინერალური წყლები მრავლად იზიდავს ხეობისაკენ დამსევნებლებსა და მოგზაურობის მოყრულთ.

ბორჯომის ხეობის რაიონული ცენტრი ქალაქი-უროჩი ბორჯომი ჩვენი ქვეყნის გარეთაც კარგად არის ცნობილი. მის მახლობლად მდებარე ლიკანი კი, თავისი შესანიშნავი პარკითა და სასახლით, რომელიც წარსულში რომანოვების საგვარეულოს ეკუთვნოდა, დღეს დასასევნებელი და სამქურნალო კომლექსია და ათასობით შშრომელს ემსახურება.

კურორტი ბორჯომი მდინარე მტკვრის ორივე ნაპირზეა გაშენებული. ზამთარში აქ, ხეობის სხვა ადგილებთან შედარებით, ნაკლები თოვლი და ყინვა იცის.

ზაფხულის კელ დღეებში ქალა-

ქის პარკიდან, რომელსაც შეუში მდინარე ბორჯომულა ჩამოუდის, საბაგირო გზით შეიძლება ასკლა საღვერის პლატოზე, რომელიც 180 მეტრით მაღლა მდებარეობს.

საღვერის პლატო ვულკანური წარმოშობისაა. იგი გუდარეთის წყლისა და ბორჯომულის (შავი წყლის) წყალგამყოფია. გუდარეთის წყალი მტკვას ჩამხის წყალთან (ბორჯომთან) ერთვის, შავი წყალი — ბორჯომ-პარკთან. ორი კილომეტრი სიგრძის საღვერის პლატო ჩრდილოეთით დამრეცად ეშვება მდინარე მტკვრისაკენ.

პლატოდან შესანიშნავი ხედი იშლება. პირდაპირ მოჩანს ვახანის ქედის უმაღლესი მტკვრვალი ლომის მთა. საღვერის პლატოზე ჩემპიუბლიკური ტურისტული საბჭოს ბაზა—დასასევნებელი სახლები.

პლატოზე მდებარე სოფელი საღვერი წარსულში ავალიშვილებს ეკუთვნოდა, რომელთაც მტკისაგან ბორჯომის ხეობის დაცვა ევალებოდათ. სოფელში XIV-XV საუკუნეების ციხის ნანგრევები და ეკლესია შემორჩენილი. შარაგზა საღვერის შემდეგ გაუვლის უროჩიებს: ტბას, ლიბანს, პატარა ცემს, საკოჭავს და ბაკურიანში ჩადის. ამ გზის სიგრძე 18 კილომეტრია.

ქვევით, ხეობაში კი, ვიწროლიანდაგიანი რეინიგზის გასწვრივ, მოასუალტებული გზა მიდის.

ბორჯომში არის მხარეთმცოდნეო-

ბის მუზეუმი. მუზეუმში წარმოდგენილი მასალა გვაცნობს ბორჯომის რაიონის მდინარ წარსულს, მის ბუნებრივ სიმდიდრეებს, ახალ მშენებლობებს და სხვ.

ბორჯომს ამშენებს ახალი სასტუმრო, მოსწავლეებისთვის მუშაობს ნორჩ ტურისტთა რესპუბლიკური სადგერის ბაზა.

ბორჯომში, მტკვრის გაღმა-გამოლმა, მაღლობზე ჰეტრეს და გოგიას ციხეებია, რომლებიც ისტორიულ წყაროებში ჯერ აიღვი XIX საუკუნეში იხსენიება. ვახუშტი ბაგრატიონის აღწერით, ეს ციხეები მტრისაგან შეუვალნი იყვნენ. ბორჯომის ჩრდილო-დასავლეთით სალის ციხეა, საიდანაც კარგად ჩანს სხვა ციხეებიც; მტრის შემოსევისას ბორჯომის ხეობის ციხეთა სისტემაში ეს ციხე სათვალთვალო-სასიგნალო სიმაგრის ოოლს ასრულებდა.

ბორჯომიდან რეინიგზით შეიძლება მისვლა ახალციხე-ვალეში, იქიდან სამანქანო გზით ვარძია-აბასთუმანში, შემდეგ კი ზეპარის ურელტეხილით იმერეთში — კურორტ საირმეში, მაიკოვსესა და ქუთაისში გადადიან.

შეორე გზა მესხეთიდან გოდერძის ულელტეხილით აჭარაში გადადის.

ბორჯომ-ახალციხის გზის მეთორმეტე კილომეტრზე, სოფელ ქობის-ხევიდან დაბაძეველის ზეგანისენ ხუთკილომეტრან სამანქანო გზა მიემართება.

დაბაძეველის ზეგანზე, ზოვის დონიდან 1600 მეტრის სიმაღლეზე სამი ტბაა: კახის, წეროსი და დაბაძეველის. კახის ტბა უზარმაზარ სარეცეს მოგაონებო, რომელშიც ლამაზი ნაგვის ხევები ირეულება. ტბის ნაპირის ბორჯომის ტურისტული ბაზის ღმის სათვისა. აქედან გზა ტყე-

ტყე, ცინისკვრის გავლით, ბაქურიანადე მიღის.

ბორჯომიდან (ჩარხის წყალთან) წყება ხეობა, სადაც 1902 წელს გაიყვანეს კინტოლიანდავიანი რკინიგზა. ამჟამად იგი ელექტრიფიცირებულია. ხეობაში მოსაფალტებული გზაც არის გყვანილი. ორივე ეს გზა ზღვის დონიდან 1050 მეტრის სიმაღლეზე მიემართება კურორტ წალკერადე ერთიმეორის პარალელურად გუარეთის ხეობაში, შემდეგ ეს რეინიგზა ცემისენ უჩვეეს, გაივლის ტბას, ლიბანს, პატარა უემს. საერთოს და ბაქურიანს; სამანქანო გზა კი ლრმა ხევის გამოლმა, ბაქურიანამდე წიწვოვან ტყეში მიღის. ამ გზით ბორჯომიდან ბაქურიანადე 37 კილომეტრია.

კურორტ წალკერს ზაფხულში მრავალი დაძველებული ჰყავს. აქ არის მინეალური, ნახშიომეური რკინის წყალი. წალკერიდან 3 კმ.-ის მანილზე პერაოთის ხეობაში მდებარეობს სოფელი ტიმოთესუბანი, სადაც XII-XIII სს აგურით ნაგები სამონასტრო კომპლექსია. ტაძრის კუმბათის კელი შემკული მოჭრული ფილებით, ხოლო შენობის ზახეცწილი ფორმები განუქმორებელ შთაბეჭდილებას ტყვებს.

ტიმოთესუბანის — შესასვლელში გუარეთის წყლის მაოცხენა ნაპირის, კლდეში ხელოვნური გამოქვაბული მოჩანს. აქ მოპოვებული ნიერები ბორჯომის მხარეთ ცოდნების მეზეუმშია დაცული; სოფლის მახლობლად მიჩრდილური წყლებია.

ბორჯომის ხეობის ერთ-ერთი კუელაზე პიპლარული კურორტია ბაქურიანი. იგი ზღვის დონიდან 1650-1700 მეტრ სიმაღლეზე მდებარეობს. ზამთარი კუელაზე ადრე აქ იწყება ჯე 6-7 თვეს გრძელდება. თოვლის სიმკრივე და ლრმა საფარი შესანიშნავ პირობას ქმნის სამთო-სათხოლამურო და. საერთოდ, სათხილამურო სპორტში შეგიძლებების ჩასტარებლად. ბაქურიანი შემოფარგლულია ცხრაწყაროს ქედით, რომელიც თრიალეთის ქედის განშტოობა. იგი ბორჯომის ხეობისა და ჯავახეთის ზეგნის წყალგამყოფია. ადგილობრივ დეკიანის ქედსაც უწოდებენ. აღმავის გამო, რომ ცხრაწყაროს ქედზე ყოველთვის ყველის დევა. ცხრაწყაროს ქედის მშვერვალებია: სანისლო (2700 მ), შევი კლდის მთა (ყარაყაია, 2890 მ), საკველოს მთა (2808 მ) და ცხრაწყარო (2711 მ). ასასვლელად ძალზე საინტერესოა — გნ-საეურებით მოსწავლე-ახალგაზრდობისათვის — შევი კლდის მთა,

რომელსაც მისასვლელი სოფელ ცინისკვრის ფერმებიდან აქვს. ამ მწვერვალიდან ლამაზი ხელი იშლება ახალისა და აბულისა და სამსარის მწვერვალებისა.

დიდი პოპულარობით სარგებლობს თრიალეთის ქედის ცხრაწყაროს გადასასვლელი, რომლის სიმაღლე ზღვის დონიდან 2458 მეტრია. იგი ბაქურიანიდან 13 კმ-ით არის დაშორებული. სამანქანო გზა. რომელიც ცხრაწყაროზე გადადის, უმოკლესია ქართლიდან სამხრეთ საქართველოში მისასვლელად. ზამთარში თხილამურებით შეიძლება ასვლა ზედ ულალტეხილზე. სადაც საქართველოს მეცნიერებათა პარაფის ფიზიკის ინსტიტუტის სამცნელებლებით დაბორატორია.

სა და ანკარა წყალში კალმაზი ფასტი განახულია. ჯიშის თევზებია მოშენებული. ცირკულარის პირა სოფელში „წითელი“ საყდრის ნანგრევებია, იქვე შემინდა ნინოს ეკლესიაც. სოფელში შემორჩენილია ბანიანი, ტაბაწყურის ახლოს კულკანური წარმოშობის შავნაბადას მთა. ტბის გარშემო ყვავილოვანი ფერდობები გვრთა შესანიშნავ ხალიჩას ქმნიან.

ტაბაწყურიდან ფერმების გავლით სოფ. მიტარბა და ბაქურიანში შეიძლება ჩასვლა. ბილიკ მინდოოს მიკვება და შემდეგ ტყეში შედის. ზამთარში აქციან თხილამურებით, წალკის რაიონის გავლით, თბილისშიც ჩადიან.


ბორჯომ-ახალქალავის გზაზე ესორი ცხრაწყაროდან ჯვანებორი ტაბაწყურობრივ ჯვანებორი წევება. ეს გზა ხელოვნობრულ ძეგლებით მდიდრებრივობის მიერთება. ამ ჩიონშია კუმურდო (IX ს.) და XI-XII სს კლდეში ნაკვეთი ქალაქი კორია.

ცხრაწყაროს გადასასვლელიდან ურდიამდე 76 კილომეტრია. ჯარიაში კეთილმოწყობილი ტურისტული ბაზა და ბუზეუბია. უან დაბარუება სასურებელია შეორე ვზით — ესის ქვაბის, თმოგვასა და ხერთვისის ცინებების დათვალიერებით. ხერთვისიდან ახალციხისაკენ — მიმავალი გზა ვაიოლის სოფელ ჩუსთავს და მრავალ სხვა მნიშვნელოვან ისტორიულ-ხეროობმდებრულ ეგლს. —

ბაქურიანს ჩრდილოეთით ნავნაინთ დაფარული ქედი აკავს. ზაფხულში ამ ქედის გავლით სოფელ მზეთამზეში, გუარეთის ხეობასა და სოფელ ტიმოთესუბანში შეიძლება ჩასვლა.

ბაქურიანიდან თორში შეიძლება მოეწყოს ერთდღიანი გასვლა. მანძილი თორაძე 14-15 კილომეტრია. თორის ნასოფლარს შესანიშნავი მდებარეობა, აქვს. შემორჩენილია თორელების ცახე-დაბაზის, გალავნისა და სხვა ხაგებობათა ნაშთები. ბაქურიანიდან 10 კილომეტრის დაშორებით, ზღვის დონიდან 1800 მეტრის სიმაღლეზე, უკროპტი ციხის კვარია. იგი, ისევე როგორც თორი, წარსულში მნიშვნელოვან როლს თმაშობდა საქართველოს პოლიტიკურ ცხოვერებაში. მონოლოგებისა და თურქების შემოსევამ ეს მხარე გააპარტახა. ახლა აქ ტრაპიზონის ვილაიეთიდან გაღმოსული ბერძნები ცხოვრობენ. ციხისჯარში შემორჩენილია უძველეს ქართულ ნაგებობათა ნაშთები.

ციხისჯარიდან სამი კილომეტრის დაშორებით ერთ ნასოფლარს ადგალობრივი ცხოვრების შემორჩენილია უძველეს ქართულ ნაგებობათა ნაშთები.



ცხრაწყაროს გადასასვლელიდან კარგად მოჩანს შევი წყლის ხეობა, სოფელი თორი, ციხისჯარი. სანისლოსა და კლდიანის მთები, მწვერვალი გვირგვინია, უფრო მოშორებით კი — კავკასიონის ქედით: წარუმლელ შთაბეჭდილებას ახდენს ზაფხულობით მწვერვალ ცხრაწყაროდან მშის ამოსელის ხილვა. აქედან ჩანს კავკასიონის მწვერვალებიც: მყინვარწვერი, იალბუზი, უშბა და სხვ.

ცხრაწყაროს გადასასვლელიდან გზა მდინარე ქციას ხეობაში, სოფ. ტაბაწყურთან ეშვება. აქ ზღვის დონიდან 1921 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს თრიალეთის ერთ-ერთი უდიდესი და ულამაზესი ტბა ტაბაწყური. მისი სიგრძე 7 კილომეტრია. ცივ-

უწოდებენ. აქაური თბილი გოგირ-დოვანი წყლები დიდი პოპულარობით სარგებლობს რევმატიზმით და-ვადებულთა შორის. ციხისჯვარში მეცნიერების დიდი ფერმაა, რო-მელიც პროდუქტებით ამარავებს ბორჯომის ხეობის მოსახლეობას.

ბაკურიანიდან ერთი საათის სა-ვალზე მდებარეობს სოფელი მიტარ-ბი, საიდანაც ზაფხულში გუჯარეთის ხეობაში შეიძლება გადასვლა. ამ ხეობას აღმოსავლეთით თრიალეთის ქედის ერთ-ერთი ულამაზესი მწვერ-ვალი გვირგვინა ესაზღვრება. აქეა იველი ციხე.

გუჯარეთის ხეობიდან ძამას ხეობა-ში შეიძლება გადასვლა. ღმეს ტუებ-ლოვანში ან აბუხალოში გაათევს ე-ცი. ძამას ხეობაში ყინწვისის ტაძ-რის (XII ს.) დათვალიერების შემ-დეგ გზას საღებურ ქარელამდე მივ-ყვართ. გუჯარეთიდან ტანას ხეო-ბით ატენსა და გორშიც შეიძლება გადასვლა. ეს მარშრუტები მრავალ-დღიანია და ზაფხულის თვეებშია რეკომენდებული.

ბაკურიანი კი მაინც თოვლისა და მზის სამფლობელოდ რჩება. აქ მთე-ლი წლის განმავლობაში მუშაობს ბავშვთა სანატორიუმი, სასტუმრო, სპორტსაზოგადოება „ქარიშხალას“ და „დინამოს“ ბაზები, ახალგაზრდო-ბის საერთაშორისო ბანკი „მზიური ველი“, საქართველოს რესპუბლიკუ-რი ტურისტული საბჭოს ბაზა, სა-ქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო-თან არსებული ფიზიულტურისა და სპორტის კომიტეტის პანსიონატი. ფიზიულტურის სახელმწიფო ინსტუ-ტუტის ბაზა და სხვ. აქ გაშენებუ-ლია ოლიმპიელთა საწვრთნელ-შე-საკრები ბაზაც.

ბაკურიანის მშვენებაა „კოხტა გო-რა“. იგი ამართლებს კიდეც ამ სა-ხელს, ლამაზია ზაფხულშიც და ზამ-თარშიც. ზაფხულში მისი ფერდო-ბები ფერად-ფერადი ყვავილებითაა მოფენილი, ზამთარში კი მზის სხივე-ბით გაბრწყინებული თოვლის საბანი ახურავს.

ზამთარში „კოხტა გორაზე“ ეწყო-ბა სხვადასხვა სახის შეჯიბრება თხი-ლამურებით: „სწრაფდაშვება“, „სლალომი“ და „გიგანტ-სლალომი“.

სუღარუბი თანამედროვე პროგრესული ინდოელი მფრინავი, რომლის მოთხოვნების დიდი ხანია იცნობს საგაოთა გაითავსელი. იგი ზეს იგავებას, რომლებიც დაცილებულია სისამაგრებელი და სისამაგრებელი არის სისამაგრებელი და ესამაგრებელი. სწორი და ასეთია წინამდებრების გადასახვა.

## ბრძანი და ბრძანები

თავდაპირველად არავინ იცოდა, რა იყო ღვთისმოშობა და ამიტომ არც ტაძრებს აგებდნენ. ადამიანები ცხოვრობდნენ მშვიდო-ბიანად, იყნენ სამართლანი. მაგრამ მათ შორის უოფილი ერთი ბრძენი და ერთიც ბრძენი. ბრძენი სუსტი იყო, ბრძენი კი ულინერი, და ამიტომაც მიწას მუდამ მას ათხრევინებდნენ.

გავიდა უამი. ადამიანებმა გამოიგონეს ღმერთი, ააგეს ტაძრები და ბრძენი ღვთის მოშიში გახდა.

ერთხელ ბრძენი და ბრძენი შორ გზას გაუდგნენ. ბრძენი ჩერა შიდობდა, ბრძენი უკან ჩაშოროვა და ერთ პატარა ტაძარს მიადგა. მთელი თავისი საგზალი ღვთისავთვის შესაწირავად ტაძართან დატოვა და გზა განაგრძო. ბრძენია გამოიარა, უპატრონოდ მიტოვებულ სურათ-სანვაგებს თვალი მოჰკრა, დალოილ-დამშეულმა მიიხედ-მოიხდა, ირგვლივ ვერავინ იხილა, სახელ-საჭმელს მაღიანად შეექ-ცა, კარგად დანაყრდა, ხელები თავქვეშ ამოიდო და ტკბილად დაი-ძნა.

## ორი ბრძანი

ორი ბრძენი შეხვდა ერთმანეთს. ერთმა თქვა, ადამიანის სი-ცოცხლე ისე დიდია, როგორც ეს ქვეყანა.

შეორე გამოედავა: — არაფერიც, ადამიანის სიცოცხლე ისე პა-ტარაა, როგორც ლოტოსებ აციმციმებული ნამის წვეთით.

ამ სიტყვებს გამოლემა მოქრა უური და ჩაილაპარეა: ვამ, რა დიდი ყოფილა ადამიანის სიცოცხლე.

როცა როგორც ბრძენი ტაძარში შევიდა, ერთმა თქვა, ადამიანის გული იმოდენაა, რომ მთელ დედამიწას დაფარავხომ.

— სრულიადაც არა, ადამიანის გული ქინძისთავით პატარაა, მოუჭრა მეორემ. ამ სიტყვებს ისევ იმ უცნობმა მოჰკრა უური და თავისთვის თქვა: ვამ, რა დიდი ყოფილა ადამიანის გული.

## ცარდები

შეიდი ზღვის იქით, მერვე ზღვაში, ერთი პატარა კუნძული უო-ცილა, რომლის სახელიც დღემდე არავინ იცის.

უცილავ ძალას ამ კუნძულზე მარტო ერთი ადამიანის გაუჩენია, ხოლო ცაში კი — რამდენიმე ფარდა, და ამ ადამიანისთვის უფერას:

— ამ კუნძულზე მთელი შენი სიცოცხლე მარტო იცხოვრებ, ამიტომ ამ ფარდებს გაუზრუნობდნ, არ ჩამოხიო. როცა დაგიღმ-დება, ამ ფარდებიდან ხინათლის ხეივი გამოსვევია და გაგინათებას, ხოლო როცა ცუდ გუნდაშე იქნები, მაგ ფარდებს მიღმა ტკბილ სიმღერას გაიგონებ და სევდაც გაგიქრება.

ერთხელ ამ ადამიანს ცნობისმოყვარეობამ ხდითა, ნეტავი რა არის ამ ფარდის შილმა, ასე რომ მინათებს და ზოგჯერ ტკბილი სიმღერი-თაც მატკობეს. ვერ მოითმინა, ფარდები ჩამოხიო ბაჭალოლ თქრო-ვერცხლი, თვალ-მარგალი-ტი ციმციმებდა. ადამიანს უსაზღვროდ გაუხარდა ამოდენა სიმღერის პავნა, მაგრამ როცა დალამდა, დამის წევდიალი აღარაფერმა გაუნა-თა და სევდაცმა ველარც ტკბილი სიმღერა მოისმინა. ასე გაატარა მთელი თავისი სიცოცხლე სიბრელესა და მწუხარებაში, თუმცა მას-ზე მდიდარი ქვეყნად არავინ იყო.

პინდურიდან თაღვნა ნიკოლოზ კენეოზილება



მზის დაბნელების დროს დედამიწასა და მზეს შორის მთვარე ეჭ-  
ცვა და დედამიწის სფეროს რომელიმე ნაწილზე მთლიანად ან ნა-  
წილობრივად ფარავს მნათობს.

მზის სრული დაბნელება, ბუნების ეს საოცრად დიდებული და  
ლამაზი მოვლენა ძალზე იშვიათად ხდება ერთსა და იმავე ადგილზე.  
ასტრონომების ის შესაძლებლობას აძლევს შეისწავლონ. მზის გარე  
საბურავი — მზის ვერგვინი, დააჭუსტონ მთვარის მოძრაობა და  
გამოიკლიონ ბევრი სხვა მოვლენა. სწორედ ამიტომ ასტრონომები  
სამეცნიერო ექსპედიციებს აწყობენ იმ აღილებში, სადაც შეხა-  
ლებელია დაკირვება მზის სრულ დაბნელებაზე.

როგორ მიმდინარეობს დაბნელება? მზის დისკის მარჯვენა მხრიდან  
იწყებს კლებას. მას თანდათან ეფარება მთვარის ბნელი რგოლი,  
მზის სინათლე სულ უფრო და უფრო სწრაფად კლებულობს და ას, მზისგან მხოლოდ ვწრო ნამგალი რჩება, ბოლოს ისიც ქრება. ცაჲე  
ინთებან ვარსკვლავები, ხოლო მზის აღილები ზაფი რგოლის ობა-  
ლივ ჩიდება მოვერცხლისფრო-მრმარალისფრო ზარავანდები —  
მზის ვერგვინი. სრული სიბნელე 1-3 წუთი გრძელდება. შემდეგ კი  
მარჯვენა მხარეს ისევ იელვებს მზის კაშაშა სხივები და სურათი  
საწინააღმდეგო მიმართულებით მეორედება.

## მზის ტონი დაბნელება 1981 წლის 31 ივნისი

დაბნელების პროცესი იმასთან არის დაკავშირებული, რომ მთვა-  
რე, რომლის დამატეტრი დაახლოებით 400-ჯერ ნაკლებია მზისაზე, ჩერებან 400-ჯერ უფრო აძლო იმყოფება, ვიდრე მზე. ამდენად მზი-  
სა და მთვარის ხილული ზომები თითქმის ერთნაირია. ისიც უნდა  
აღინიშნოს, რომ დედამიწა მზის და მთვარე დედამიწის ირგვლივ  
მოძრაობენ ელიფსურ და არა წრიულ ორბიტაზე, რის გამოც ეს  
შედარებითი ხილული განსომილებები ცოტა იცვლება.

წლის მანძილზე დედამიწაზე ხდება ორიდან ხუთაშე სხვადასხვა  
ტიპის მზის დაბნელება.

გაიმძომთ მიმდინარე წლის 31 ივნისის მზის დაბნელებაზე. ნაამ-  
ბობი ემყარება საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის თეორიული ას-  
ტრონომიის ლენინგრადის ინსტიტუტის თანამშრომელთა დაწვრილე-  
ბით გამოკლებებს.

31 ივნისის დაბნელება იქნება მზის უახლოები სრული დაბნელება, რომელსაც ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე დავინახავთ; ამას გარდა, ეს იქნება XX საუკუნის უკანასნელი სრული დაბნელება, ხილული საბჭოთა კავშირის მიზვნელვაზე ნაწილში. ქვეყნის დანარჩენ ტერი-  
ტორიაზე დაბნელება ნაწილობრივი იქნება. დაბნელების სრული ფა-  
ზის ზოლი დაწყება აფხაზეთში. ეს მოხდება ადრე დილით, მზის ამოსვლისას. ჩრდილის განი სულ 60 კილომეტრი იქნება. მაგრამ შემდეგ თანადათან გაიზრდება და 100 კილომეტრს მიაღწევს. გაიზრ-  
დება მზის დაბნელების სრული ფაზის ხანგრძლივობაც. აფხაზეთის ტერიტორიიდან მთვარის ჩრდილი თანადათან გადაინაცვლება ჩრდი-  
ლო-აღმოსავლეთით, ნალჩიკა (დაბნელების ხანგრძლივობა 42 წამი) და მოზღვის (48 წამი) გავლით კასპიის ზღვაში მიაღწევს და გუ-  
რევების სამხრეთით უკანასნელი ტერიტორიაზე გადავა, გაივლის ცე-  
ლინგრადის ოლქს, კულუნდინის ველს, კუშეროვოს და ირკუტსკის მოქედებს, სამხრეთ კიდით შეეხება ბაიკალს და გადაკვეთს ბარგუზი-  
ნის ქედს. დაბნელებას დაინახავენ ბაიკალ-ამურის მაგისტრალის მშე-  
ნებლები (ტინდაში დაბნელება 117 წამს გაგრძელდება). ჩრდილი გა-  
დაკვეთს სახალინს და კურილის კუნძულების შემდეგ დატოვებს ჩვენს ტერიტორიას. მთლიანად საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე  
სრული დაბნელების ზოლის სიგრძე 8250 კილომეტრს შეადგენს.

გახსოვდეთ, რომ მზეს დაუცველი თვალებით არ უნდა უყურო, თორემ შეიძლება მხედველობა დაიზიანოთ. ამ დროს მუქი შუშა  
იძიარეთ.

• ი. რიბლინი

ზეიმია საქართველოში (ფოტომონტაჟი)  
გარეუ.

გოგევილი ჭ.	— გამოძახილი (მოთხოვბი)	2
ჭიჭინაძე გ.	— ავად გახდა ხუთიანი; წვიმა (ლექსები)	7
ჩვენი საჟურნალი გიცავს უახლესი	(საუბარი მრგვალ მაგიდასთან)	8
ვადაჭილი დ.	— ბალლოგი; ირაო (მოთხოვბები)	11
შამურიანი ს.	— „გამარჯობა, ჩემო მომავალო შეგო- ბარო!“ (ნარკვევი)	13
ჩვენი შემოქმედება	— ბარები	16
ქოქია ბ.	— მობურთალსა მოედანი... (ნარკვევი)	24
აისი	—	27
გოგალიშვილი დ.	— ტურისტულ გზებსა და ბილი- კებზე (წერილი)	29
სულარშანი	— ბრძენი და ბრიყვი; ორი შრენი; ფარდები (იგავები)	31
რიხლინი ი.	— მზის სრული დაბნელება 1981 წლის 31 ივნისის (წერილი)	32
„ქალაქი და სოფელი“ (მუსიკალური ნოტი) ვარცე.	3	

გარეუანის პირველი გვერდის მხატვრობა დიმიტრი ჭარავაშვილისა.

მთვარი რედაქტორი ბაბულია შელია  
სარედაქციო კოლეგია: ნაზარე ავხაზავა, ზურაბ გოცვაძე,  
აპათანილ გურგენიძე, ღოლი ვადაკორია, გაიოზ ვოცები-  
შვილი (მხატვარი-რედაქტორი), გიორგი კლიბაძე, რობერტ და-  
რიბაზილი, ნოდარ გამანაძე, სიმონ გავაზიანი (3/გ. მდივანი),  
ლიანა შეწირული, ზურაბ წვერიძეაზვილი, ზურაბ ჭავჭავაძე (3/გ. მდივანი),  
ლიანა შეწირული, ზურაბ წვერიძეაზვილი, ზურაბ ჭავჭავაძე (3/გ. მდივანი),  
ლიანა შეწირული, ზურაბ წვერიძეაზვილი, ზურაბ ჭავჭავაძე (3/გ. მდივანი).

საქართველოს კაცი-ის გამოცემლობის სტამბა. 380096, ლენი-  
ნის ქ. № 14.

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტე-  
ლეფონი: მთავარი რედაქტორის — 93-97-05, 93-31-81, 3. მგ. მდივ-  
ანის — 93-97-03, 93-53-05, განყოფილების — 93-97-02, 93-97-01.  
გადაცემა ასაწყობად 27/IV-81, ხელმოწერილია დასაბეჭდად 10/VII-81,  
ქალაქის ფორმატი 60 × 90<sup>1/3</sup>, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4.  
სააღრიცხვო-საგამოცემლო თაბაზი 5,35, შევ. 1221, ტირ. 157 200  
ეგზ. უ 08451

რედაქციში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.  
თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხისმგებელი არ ეცნობებათ.

«Пионери», журнал ЦК ЛКСМ Грузии и Грузинского  
Республиканского Совета Всесоюзной пионерской  
организации имени В. И. Ленина для школьников.  
Выходит один раз в месяц на грузинском языке.  
Издательство ЦК КП Грузии, 380096, г. Тбилиси,  
ул. Ленина, 14.

Адрес редакции: 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.  
Отпечатано в типографии Издательства ЦК КП Грузии,  
380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.

Формат 60 × 90<sup>1/3</sup>, учетно-изд. л. 4, усл. печ. л. 5,35.

Тираж 157 200 экз. Цена 20 коп.

© „პიონერი“, 1981 წ.

# შესაბუნებელი და სოლისტი

Allegretto.

1. უუუუნა წვიმა მოვიდა,  
სულ დაგვისველა ბაბთები;  
სახლში შემოდი, ხათუნა, }  
შემოდი, ავად გახდები! } 2-ჯრ.

მისამლერი:

დელია, დელია, აბა დელია —

2. უუუუნა წვიმა მოვიდა,  
სიმინდს დაულბო ფოჩები;  
გადი წვიმაში, ირბინე, }  
ირბინე, ნანა, მორჩები. } 2-ჯრ.

მისამლერი:

დელია, დელია, აბა დელია —

3. უუუუნა წვიმა მოვიდა,  
წვიმა მოვიდა მაგარი;  
სახლში შემოდი, ხათუნა, }  
დადნები, როგორც შაქარი! } 2-ჯრ.

მისამლერი:

დელია, დელია, აბა დელია —

4. უუუუნა წვიმა მოვიდა,  
დააფრთხო მტრედის ხუნდები;  
ნანა, გამოდი ეზოში. }  
გაგიკაუდება კუნთები! } 2-ჯრ.

მისამლერი:

დელია, დელია, აბა დელია —

პასუნი № 5-ში  
მოთავსებულ  
„სხესაკლიკურზე“

კროსოვრდი

თარაზულად: 5.  
იაგნანა; 7. ყანჩელი; 8.  
ანტრაშა; 9. მარსი; 11.

გურია; 13. ოროველა; 16.  
ეპილოგი; 17. „აღდგო-  
მა“; 19. სიცილია; 21.  
ეთიკა; 23. ჰვინი; 25. ხა-  
ბარდა; 26. ფრიდონი; 27.  
არარატი.

შვეულად: 1. არვი-  
ცია; 2. ერევანი; 3. ონ-  
გრარიო; 4. ხატანგა; 6.

კარპოვი; 10. რადიუსი;  
12. რეკორდი; 14. რეგბი;  
15. ლელვი; 18. „ციხე-  
რი“; 19. სალენონ; 20.  
აზნაური; 22. თორნიკი;  
24. ნიაგარა.

ზერადები  
1. ენგური; 2. კოსმიოს.



აშენ გადასის



ბავშვთა  
ხელოვნების  
გუნდის  
ფონდის




ირაკლი სალუქებეგი, 9 წლის.



ლენა სტეფანიანი, 8 წლის.

გიორგი  
ჯიშვარიანი,  
11 წლის.

საზა  
ალდანეგლაშვილი,  
7 წლის.



გიგ ნიკოლაიშვილი, 10 წლის.

